განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ევროპის უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ლილი ხეჩუაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნინო ბერიშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ექსპერტი
თამარ ვახტანგაძე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, ექსპერტი
ხათუნა საგანელიძე, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, დამსაქმებელი ექსპერტი
სალომე ძაგნიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სტუდენტი ექსპერტი

თბილისი
2019

[1] **შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან.

სარჩევი

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე 4

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ 4

რაოდენობრივი მაჩვენებლები 4

პროგრამები 4

სტუდენტები 4

პერსონალი 5

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი 5

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა 18

რეკომენდაციები 18

რჩევები 19

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი 21

შემაჯამებელი დასკვნა 22

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება 23

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება 23

1.1. უსდ-ის მისია 23

1.2. სტრატეგიული განვითარება 24

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 25

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა 25

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები 26

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა 27

3. საგანმანათლებლო პროგრამები 28

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება 28

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი 30

3.3. სწავლის შედეგების შეფასება 31

4. უსდ-ის პერსონალი 32

4.1. პერსონალის მართვა 32

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა 34

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები 36

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები 36

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები 37

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა 39

6.1. კვლევითი საქმიანობა 39

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია 40

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება 42
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები 43
7.1. მატერიალური რესურსი 43
7.2. საბიბლიოთეკო რესურსები 46
7.3. საინფორმაციო რესურსი 48
7.4. ფინანსური რესურსი 50
დანართი N1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი 53

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ევროპის უნივერსიტეტი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლო უნივერსიტეტი
საიდენტიფიკაციო კოდი	
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. N76 და ქ. თბილისი, დ. სარაჯიშვილის ქ. N17
ვებ-გვერდი	https://www.eu.edu.ge/ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	

რაოდენობრივი მაჩვენებლები

პროგრამები[2]

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა	17
ბაკალავრიატი	
მაგისტრატურა	
ერთსაფეხურიანი	
დოქტორანტურა	
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)	
ქართულ ენაში მომზადების	
აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა	
საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ აკრედიტირებული პროგრამების რაოდენობა	
ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა[3]	
გაცვლითი პროგრამების რაოდენობა	

სტუდენტები

სტუდენტების არსებული ზღვრული რაოდენობა			1500
	აქტიური	შეჩერებული	პროგრამის დასრულების მაჩვენებელი
სულ სტუდენტების ფაქტობრივი რაოდენობა			
ბაკალავრიატი			

[2] იხ. დანართი №1 უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი, რომელსაც ახორციელებს დაწესებულება

[3] იგულისხმება მხოლოდ ის ერთობლივი პროგრამები, რომელთა განსაზღვრება მოცემულია ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მეორე მუხლის ჰ[48] პუნქტში.

მაგისტრატურა			
ერთსაფეხურიანი			
დოქტორანტურა			
მასწავლებლის მომზადების (60 კრედიტიანი)			
ქართულ ენაში მომზადების პროგრამა			
უცხოელი სტუდენტების რაოდენობა			
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების რაოდენობა			

პერსონალი

მონაცემები უსდ-ში დასაქმებული პერსონალის შესახებ	
უსდ-ში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალი)	
სულ აკადემიური პერსონალის რაოდენობა	171
- პროფესორი	49
- ასოცირებული პროფესორი	60
- ასისტენტ პროფესორი	55
- ასისტენტი	6
სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა	
- მეცნიერი	
- პოსტდოქტორანტი	
სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა	81
- აფილირებული პროფესორი	23
- აფილირებული ასოცირებული პროფესორი	25
- აფილირებული ასისტენტ პროფესორი	30
- აფილირებული ასისტენტი	3
სწავლებაში ჩართული უცხოელი აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
კვლევაში ჩართული უცხოელი აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის რაოდენობა	
სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი	293
ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი	

შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი

დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	7039,28 მ^2
დაწესებულების საერთო სასწავლო ფართის ოდენობა კვ.მ-ში	
დაწესებულების საერთო დამხმარე ფართის ოდენობა კვ.მ-ში	

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 5 ივლისის N573 ბრძანების შესაბამისად შპს ევროპის უნივერსიტეტში უსდ-ის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის მიზნით მიმდინარე წლის 12-13 ივლისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:

- ლილი ხეჩუაშვილი (თავმჯდომარე);
- ნინო ბერიშვილი (წევრი);
- თამარ ვახტანგაძე (წევრი);
- ხათუნა საგანელიძე (წევრი);
- სალომე ძაგნიძე (წევრი).

ვიზიტი წარიმართა კეთილგანწყობილ სამუშაო გარემოში. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უსდ-ის რექტორსა და ადმინისტრაციას, მმართველ საბჭოსა და მრჩევლებს, ყველა ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლებს, ფაკულტეტის დეკანებსა და პროგრამის ხელმძღვანელებს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს, თვითმმართველობასა და დამსაქმებლებს.

ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულებისაგან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია (მაგალითად, დამატებითი ფინანსური დოკუმენტაცია, აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები და კონტრაქტები, კლინიკებთან გაფორმებული მემორანდუმები), რომლის მიწოდება უსდ-მ დროულად და შეძლებისდაგვარად სრულად უზრუნველყო.

მონიშნეთ, რას უკავშირდებოდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წინა შეფასება, რომლის ფარგლებშიც გაიცა რეკომენდაციები:

☐ ავტორიზაციის მოპოვების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☒ სტუდენტთა კონტინგენტის გაზრდის მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: 12-13 ივლისი, 2019

☐ საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით განხორციელებული შეფასება
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

☐ შეფასება ავტორიზაციის პირობებთან შესაბამისობის მიზნით განხორციელებული მონიტორინგის ფარგლებში
შეფასების განხორციელების თარიღი: _____

უსდ-სათვის ბოლო შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაციები (მიუთითეთ სტანდარტი/სტანდარტის კომპონენტი და შესაბამისი რეკომენდაცია):	აღწერეთ რამდენად იქნა გათვალისწინებული უსდ-ს მიერ წინა შეფასების ფარგლებში მიღებული რეკომენდაცია და რჩება თუ არა გასაუმჯობესებელი მხარეები სტანდარტის კომპონენტთან შესაბამისობის თვალსაზრისით:

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.2. სტრატეგიული განვითარება

• უსდ-მ უმოკლეს ვადებში უნდა დაასრულოს სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტზე მუშაობა, რომ ჰქონდეს სრულფასოვანი, ნათლად ფორმირებული და სტრუქტურულად გამართული 7-წლიანი სტრატეგიული და მის შესაბამისად განსაზღვრული 3-წლიანი სამოქმედო გეგმა.	უსდ-ს დასრულებული აქვს მუშაობა და წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული მიმართულების დოკუმენტები: შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა და შესაბამისი სამწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელშიც აღწერილია სტრატეგიული მიმართულების შესაბამისად დასახული ამოცანები და მათ შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობები. ამასთან, დაკონკრეტებულია განხორციელების პერიოდი, შესრულების ინდიკატორები, გადამოწმების წყარო, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული, განხორციელებაში ჩართული მხარე და განსაზღვრულია შესაძლო რისკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უსდ-მ შეიმუშავა კვარტლური მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგის პროცედურა. ვიზიტის მომენტისათვის უსდ-ს დასრულებული ჰქონდა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონიტორინგი და წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში.
• სტრატეგიულ გეგმაში უნდა გაიწეროს უსდ-ს პრიორიტეტები, როგორც საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების, ისე კონკრეტულ სამეცნიერო დარგში გასახორციელებელი კვლევების მიმართულებით.	უსდ-ის მისიაში დაკონკრეტდა მისი როლი კვლევით საქმიანობაში და დაიწერა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც მკაფიოდ არის გაწერილი სტრატეგიული პრიორიტეტები როგორც სწავლების, ისე კვლევის მიმართულებით. მასში, ასევე, დეკლარირებულია, რომ უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში სამეცნიერო კვლევის ხელშეწყობა წარმოადგენს. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების თვალსაზრისით, უსდ პრიორიტეტად ისახავს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებასა და სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლებას. ასევე, დაკონკრეტებულია განსაახლებელ-განსავითარებელი საგანმანათლებლო პროგრამები. რაც შეეხება კვლევის კონკრეტულ მიმართულებებს, უსდ-მ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირებისა და ფინანსური და ადამიანური რესურსების პოტენციალის შეფასებაზე დაყრდნობით კვლევისთვის პრიორიტეტულ მიმართულებებად დასახელდა გამოყენებითი კვლევა მედიცინის, ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და კვლევები სამართლის და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	
• განისაზღვროს აკადემიურ საბჭოში მისი წევრების შერჩევის გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურა.	ვინაიდან მმართველ ორგანოში განიხილება არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული საკითხები, არამედ უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საკითხებიც, უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით მმართველი ორგანოს შემადგენლობაში შედის არა მხოლოდ აკადემიური, არამედ უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალიც. ამიტომ უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით უსდ-ის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიმღებ და მმართველ ორგანოდ განისაზღვრა არა აკადემიური, არამედ მმართველი საბჭო. მმართველი საბჭოს უფლებამოსილება, ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა, მუშაობის ფორმატი, შემადგენლობა და საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები რეგულირდება მმართველი საბჭოს დებულებით და მის შემადგენლობაში შედის რექტორი, ვიცე რექტორები ადმინისტრაციული, საგარეო ურთიერთობებისა და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებით, ფაკულტეტის დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, აფილირებული აკადემიური პერსონალი თითოეული ფაკულტეტიდან, კურსდამთავრებული და სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან, სტუდენტური თვითმართველობის თავმჯდომარე და ერთი პოტენციური დამსაქმებელი. მმართველი საბჭოს წევრების არჩევა გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით ხდება, არჩევის კრიტერიუმები ცნობილია და განსაზღვრულია მმართველი საბჭოს დებულებით.
• აკადემიურ და სამეცნიერო საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში უნდა გაიზარდოს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება.	მმართველი საბჭო უფლებამოსილება, რომელიც გაწერილია დებულებით, ყოველივე ზემოაღნიშნული მმართველ საბჭოს ანიჭებს უფლებამოსილებას განიხილოს და დაამტკიცოს უნივერისტეტისთვის სტრტაეგიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტები და ამასთანავე, შეიმუშოს რეკომენდაციები უნივერისტეტისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხებზე.
• უნდა გაიმიჯნოს პრორექტორებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს	უსდ-ში მკაფიოდ არის გამიჯნული ადმინისტრაციული, საგარეო ურთიერთობებისა და სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით პრორექტორებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ფუნქციები

შორის ფუნქციები, რათა მოხდეს ფუნქციური და დუბლირებების გამორიცხვა.	მკაფიოდ არის ერთმანეთისაგან გამიჯნული და დეტალურად გაწერილი უნივერსიტეტის დებულებაში, რაც სრულიად გამორიცხავს მათი ფუნქციების დუბლირებას. გარდა ამისა, ფუნქციური დუბლირებების თავიდან ასაცილებლად, დეტალურად გაიწერა თითოეული პოზიციის სამუშაო აღწერილობები, მათ შორის, ვიცერექტორებისა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტში შემავალი თანამდებობებისთვის. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის საქმიანობის მკაფიოდ განსაზღვრის მიზნით დეპარტამენტმა შეიმუშავა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“, რომლითაც რეგულირდება აღნიშნული სამსახურის ფუნქციონირება.
• ორგანიზაციული იერარქია შესაბამისობაში უნდა მოვიდეს უსდ-ს დებულებასთან.	უნივერსიტეტში განახლდა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომლის შესაბამისადაც არის გაწერილი უნივერსიტეტის დებულება. ის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად აღწერს უნივერსიტეტის ორგანიზაციულ მოწყობას, თითოეული სტრუქტურული ერთეულისა თუ თანამდებობის პირების დაქვემდებარების საკითხებსა და უფლება-მოვალეობებს.
• ბიზნესპროცესების უწყვეტობის გეგმაში სასწავლო უნივერსიტეტის წინაშე მდგარი რისკების შეფასება უნდა იყოს რეალისტური და მიზნად ისახავდეს რისკების აცილებას ან მათ მინიმუმამდე დაყვანას.	უსდ-მ განაახლა „ბიზნესპროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა“, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის წინაშე არსებული რისკების კატეგორიებს (სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები), აღწერს თითოეული ტიპის რისკს, მათ შეფასებასა და განსაზღვრის მეთოდოლოგიას, ხდომილების ალბათობასა და თითოეულ შემთხვევაში რისკის მართვისათვის საჭირო ქმედებებს. დოკუმენტი, ასევე, აღწერს რისკების გამოვლენის, შეფასების, პრევენციული ზომებისა თუ რისკების დადგომის შემთხვევაში საპასუხო ღონისძიებების პროცედურებს. უსდ-მ წარმოადგინა ბიზნესუწყვეტობის ცხრილი, რომელშიც დაკონკრეტებულია ბიზნესუწყვეტობის დოკუმენტში დასახელებული ყველა ტიპის რისკი, დეტალურადაა ჩამოთვლილი ფინანსური, ოპერაციული, სტრატეტიული და ფორსმაჟორულ სიტუაციებთან დაკავშირებული რისკები. განსაზღვრულია თითოეული ჩამოთვლილი რისკის ხდომილების ალბათობა, გავლენა უნივერსიტეტის საქმიანობაზე, პრევენციული

	ქმედებები, პასუხისმგებელი ერთეულები / პირები, რეაგირება / ქმედებები. აღნიშნული სახით ცხრილში წარმოდგენილი ინფორმაცია პასუხისმგებელ პირს ეხმარება პროცესის კოორდინირებაში. ბიზნესუწყვეტობის გეგმის დანერგვას კოორდინაციას უწევს სტრატეგიული განვითარების მენეჯერი.
• უსდ-ს მისიიდან და მიზნებიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს სტუდენტებისათვის მეტი გაცვლითი და საერთაშორისო პროექტების შეთავაზება.	უსდ-მ შეიმუშავა 2018-2024 წლების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ისეთ ძირითად მიმართულებებს, როგორებიცაა უცხოელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მოზიდვა, სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მეტი ჩართულობა, ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობა, უნივერსიტეტის ინსტიტუციური საქმიანობისა და საგანმანათლებლო პროგრამების დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. უსდ-ს ერთი წლის განმავლობაში, ვიზიტის მომენტისათვის განხორციელებული აქვს 30-მდე აქტივობა ამ მიმართულებით. გარდა ამისა, სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით ინტერნაციონალიზაციის 2018-24 წლების პოლიტიკის თანახმად უსდ გეგმავს ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპეტენციის ზრდის ხელშეწყობას. გარკვეული ნაბიჯები ამ მიმართულებით უკვე გადადგმულია, მაგალითად, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მიღების პირობად დაკონკრეტდა უცხო ენებს შორის ინგლისური ენის ჩაბარება და პროგრამას დაემატა ინგლისურენოვანი სასწავლო კურსები.
• უსდ-მ უნდა უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საგანმანათლებლო დაწესებულების რეესტრის წარმოება.	უსდ-მ შეიმუშავა დოკუმენტი „ევროპის უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტთა რეესტრის წარმოების წესი“, რომლის თანახმად განისაზღვრა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული/თანამდებობის პირი და ,რეესტრში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელი პირი. დოკუმენტის თანახმად გაიმიჯნა სტუდენტთა და პერსონალის შესახებ ბაზაში ინფორმაციის შეტანაზე პასუხისმგებელი პირები. უსდ-ის რეესტრის წარმოება აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად ხორციელდება.

	უსდ საქმისწარმოებას დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის (eflow) გამოყენებით ახორციელებს, რაც ხელს უწყობს რეესტრის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად წარმოებას.
• აუცილებელია უსდ-ს შიდა რეგულაციაში ცვლილებების შეტანა და სტუდენტების საგამოცდო ნაშრომების კანონმდებლობით (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის #72 ბრძანებით დამტკიცებული „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხა“) დადგენილი ვადით, ანუ 3 წლით შენახვა.	დოკუმენტში „ევროპის უნივერისიტეტის საქმიანობის პროცესში შექმნილი დოკუმენტების შენახვის ვადები“ შევიდა ცლილება და საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადად 3 თვის ნაცვლად განისაზღვრა 3 წელი.
2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	
• საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა უნდა მოხდეს პროგრამის ხელმძღვანელთა აქტიური ჩართულობით.	უსდ-მ შეიმუშავა „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები (უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, პრაქტიკის ბაზები, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობა) და თითოეული ფაქტორის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებსა და, შესაბამისად, უნივერსიტეტში სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობის გამოთვლის გზები. მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ფაკულტეტის დეკანები და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, მეთოდოლოგიის მიხედვით მონაცემების შეგროვება და თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასში გაწერილი ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა გათვალეს და წარმოადგინეს ანგარიშები. ამ ანგრიშებზე დაყრდნობით დადგინდა უნივერისიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.
2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა	

• აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე უნდა მოხდეს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლება.	აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ უსდ-ში ჩატარდა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები და ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის. გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტზე ყველა სილაბუსში შეტანილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, როგორც სტუდენტებისთვის სავალდებულო ინფორმაცია; საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია აკადემიური წერისა და/ან კვლევის მეთოდების კურსები, სადაც შეტანილია და ისწავლება აღნიშნული საკითხები. ამასთან, უნივერსიტეტის მისაღებ დარბაზში დამონტაჟებულია მონიტორი სადაც მუდმივად გაშვებულია პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია და ანიმაციები.
3. საგანმანათლებლო პროგრამები	
3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	
• უსდ-მ უნდა შეიმუშაოს კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი, რათა ისინი ჩაერთონ საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და განვითარების პროცესში. მნიშვნელოვანია, კურსდამთავრებულების მოსაზრებები პროგრამების დახვეწისა და შემდგომი განვითარებისთვის.	უსდ-მ 2018 წლის 24 ნოემბერს კურსდამთავრებულებს შეხვდნენ პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამების განვითარების კუთხით თანამშრომლობის შესახებ ესაუბრნენ მათ. შეხვედრის შემდეგ შეიქმნა კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზა, რომელშიც პროგრამების მიხედვითაა ასახული კურსდამთავრებულთა პირადი ინფორმაცია, დასაქმების და კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმების შესახებ ინფორმაცია, დამსაქმებელთა შესახებ ინფორმაცია, საკონტაქტო ინფორმაცია და შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესახებ ინფორმაცია. უსდ-მ ისინი სრულად ჩართო პროგრამების შეფასებისა და განვითარების პროცესში. მათგან მიღებულ იქნა რეკომენდაციები და უსდ-ში უკვე დაგეგმილია ამ რეკომენდაციების განხილვა საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნით შექმნილ დარგობრივ კომიტეტებზე და მსჯელობის შედეგად გათვალისწინებული რეკომენდაციების ასახვა საგანმანათლებლო პროგრამებზე. კურსდამთავრებულთა მხრიდან მიღებული რეკომენდაციები (კონკრეტული სასწავლო კურსების დამატება, ასევე, კონკრეტულ სასწავლო კურსებში სამუშაო დატვირთვის და შესაბამისად კრედიტების მოცულობის გაზრდა) უკვე გათვალისწინებულია ახლახანს აკრედიტებულ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში.

	გარდა ამისა, მმართველი საბჭოს შემადგენლობაში შევიდა კურსდამთავრებული. კურსდამთავრებულის არჩევა ხდება წარმატებულ კურსდამთავრებულთაგან ფაკულტეტის საბჭოს წარდგინებით.
• აუცილებელია, რომ საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები იცნობდნენ სტუდენტის კონტინგენტის დაგეგმვის პრინციპებს, რათა შეძლონ პროგრამაზე ჩასარიცხი სტუდენტების რაოდენობის უკეთ განსაზღვრა, რათა ეს პროცესი არ იყოს მხოლოდ მექანიკური კალკულაცია, არამედ გადაწყვეტილება დაეფუძნოს სხვადასხვა ფაქტორების უფრო ღრმა ანალიზს, მაგ. დასაქმების ბაზარზე მოთხოვნა, კვალიფიკაციის სპეციფიკა, მომავლის პერსპექტივა, უსდ-ს მისია თუ სტრატეგიული განვითარების მიზნები და ა.შ.	იხ. 2.2 ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაციის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები.
4. უსდ-ის პერსონალი	
4.1. პერსონალის მართვა	
• ადამიანური რესურსების მართვის სამსახური უნდა გახდეს უფრო ფუნქციური; იგი ჩართული უნდა იყოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალის მართვის პროცესში.	ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული პერსონალის მართვის პროცესებში ყველა მიმართულებით. სამსახურს დაემატა ორი თანამშრომელი და შემუშავდა „პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა პერსონალის მოზიდვის მექანიზმები, პერსონალის შერჩევის და აყვანის პროცედურები, შესრულებული სამუშაოს მართვა (ადმინისტრაციული და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასება), მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი, პროფესიული განვითარება, წახალისება და დისციპლინარული პასუხისმგებლობა, თანამშრომელთა შორის კომუნიკაცია. ადამიანური რესურსების მართვის სამსახური თანამშრომლობს შესაბამის სამსახურებთან და აქტიურადაა ჩართული პერსონალის აყვანის პროცესში და ზოგადად პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებში. ის აგვარებს აკადემიური და

	ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებს, აქტიურადაა მონაწილეობს გასაუბრების პროცესში. გარდა ამისა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი", რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების პრინციპებს, პერიოდულობას, შეფასების მეთოდებსა და სისტემას, შეფასების პროცესსა და პროცესის მონაწილე სუბიექტებს, შეფასების შედეგების გასაჩივრების საკითხებს, პერსონალის განვითარების გეგმას. შეფასების სისტემის დანერგვა დაგეგმილია 2019-20 აკადემიური წლიდან, თუმცა უკვე განხორციელდა საპილოტე შეფასება 2018-19 აკადემიური წლის ბოლოს. რაც შეეხება აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აღნიშნულ პროცესში თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან. აღნიშნული შეფასება ხორციელდება დეპარტამენტის მიერ შემუშავებული დოკუმენტის „აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი“ საფუძველზე.
• ადამიანური რესურსების სამსახური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად აქტიურად უნდა იყოს ჩართული ადამიანური რესურსების შეფასების პროცესში.	იხ. 4.1. ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაციის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები.
• ადამიანური რესურსების სამსახურმა აქტიურად უნდა უხელმძღვანელოს უსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და დანერგვის პროცესს; მან უნდა შეიმუშაოს და დანერგოს უსდ-ს პერსონალის, განსაკუთრებით კი, აკადემიური პერსონალის მოზიდვის, მათი შენარჩუნებისა და პროფესიური განვითარების პოლიტიკა და პრაქტიკა.	იხ. 4.1. ქვესტანდარტის პირველი რეკომენდაციის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები. გარდა ამისა, აკადემიური, აფილირებული აკადემიური პერსონალის მოზიდვის, შენარჩუნებისა და მათი პროფესიურლი განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტმა შეიმუშავა დოკუმენტი „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები“, რომელშიც განსაზღვრულია აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა და დაფინანსების საკითხები. აკადემიური პერსონალის მოზიდვას, შენარჩუნებასა და განვითარებას ემსახურება აკადემიური პერსონალის შეფასების საფუძველზე გამოვლენილი საუკეთესო შედეგების მქონე პერსონალის წახალისების მექანიზმები (მათ შორის, პროფესიული განვითარების დაფინანსება).

• უსდ-მ უნდა შეიმუშაოს პერსონალის შეფასების და უკუკავშირის ერთიანი, ეფექტური სისტემა.	უსდ-ის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი“, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტმა ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან თანამშრომლობით -- დოკუმენტი „მოწვეული და აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“. პირველი დოკუმენტი განსაზღვრავს შეფასების პრინციპებს, პერიოდულობას, მეთოდებსა და სისტემას, პროცესსა და პროცესის მონაწილე სუბიექტებს, შედეგების გასაჩივრების საკითხებს, პერსონალის განვითარების გეგმას. შეფასების შედეგებს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური ამუშავებს და აანალიზებს. მეორე დოკუმენტი განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი სამიანობის შეფასების სისტემას (მკაფიოდაა გაწერილი თითოეული აქტივობის შესაბამისი შეფასება) და განსაზღვრავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების სისტემას, შეფასების მონაწილე მხარეებს. შეფასებას თავად აკადემიური პერსონალი ახორციელებს (მტკიცებულებების წარმოდგენის საფუძველზე), ხოლო აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცესში მონაწილეობენ ფაკულტეტის დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მენეჯერები, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი, სტუდენტები. შეფასება გულისხმობს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სასწავლო კურსის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული საკითხების, ფაკულტეტთან და საგამოცდო ცენტრთან თანამშრომლობის, სტუდენტის კმაყოფილების შეფასებას. დოკუმენტის ფარგლებში ასევე განსაზღვრულია აკადემიური და მოწვეული პერსონალის სემესტრული და წლიური შეფასების მექანიზმები. შეფასების მექანიზმი გულისხმობს პერსონალის ინფორმირებას მიღებული შედეგების შესახებ და მათთან თანამშრომლობას შეფასების შედეგად გამოკვეთილ საყურადღებო საკითხებზე მუშაობის მიმართულებით. ასევე, მიღებული საუკეთესო შედეგების წახალისებას, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემისა და მექანიზმების ეფექტიანობას.
4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	

• დაწესებულებამ უნდა გაზარდოს ფაკულტეტზე დასაქმებული, როგორც აკადემიური, ასევე, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა.	2018 წლის ივნისის თვიდან დღემდე ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 24% -ით (79-დან 98 თანამშრომელი). აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზარდა 8 პერსონალით. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომელიც საშუალებას იძლევა, რომ თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განისაზღვროს მოწვეული და აკადემიური პერსონალის სათანადო რაოდენობა. დოკუმენტი ადგენს აკადემიური, აფილირებული აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის სამიზნე ნიშნულებს.
5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	
5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	
• სტუდენტის სტატუსის მოპოვების/შეჩერების წესები უნდა იყოს გამჭვირვალე და სამართლიანი და შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას.	სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის პროცედურები გამჭვირვალეა და დეტალურადაა გაწერილი დოკუმენტში „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“. წესი არეგულირებს სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის ისეთ საკითხებს, როგორებიცაა სტატუსის შეჩერების საფუძვლები, სტატუსის შეჩერების პერიოდში უნივერსიტეტსა და სტუდენტს შორის უფლება-მოვალეობები, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესაძლებლობები და ვადები. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილი სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესები შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან.
6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	
6.2 კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	
• აუცილებელია საბოლოო დაზუსტებულ სტრატეგიული გეგმის დოკუმენტში კვლევის მიმართულებისა და პრიორიტეტების განსაზღვრა უსდ-ს აკადემიური პერსონალის გამოცდილებისა და სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური შესაძლებლობების შესაბამისად.	იხ. 1.2 ქვესტანდარტის მეორე რეკომენდაციის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები. გარდა ამისა, უსდ-ის სტრტაეგიულ გეგმაში დასახელებული კვლევის კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრისას უნივერსიტეტმა გაითვალისწინა საკუთარი ადამიანური და ფინანსური რესურსები. სტრტაეგიული გეგმის გათვალისწინებით შედგენილია უნივერსიტეტის ბიუჯეტი, შესაბამისად, კვლევის მიმართულებით სტრატეგიულ გეგმაში გათვალისწინებული აქტივობების ფინანსური

	ხელშეწყობა განსაზღვრულია უნივერსიტეტის ბიუჯეტით.
6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება	
• უსდ-მ უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკაში განახორციელოს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შეფასების ქმედითი მექანიზმები.	იხ. 4.1 ქვესტანდარტის მე-4 რეკომენდაციის საპასუხოდ განხორციელებული ქმედებები. შეფასების სისტემა 2018-19 აკადემიური წლის ბოლოს (შეფასების სისტემა ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წლიურ შეფასებას) ამოქმედდა და ვიზიტის მომენტისთვის დასრულებული იყო ძირითადი სამუშაოები, თუმცა ჯერ არ იყო მონაცემების სრულად დამუშავებული და წერილობითი ანგარიშის სახით წარმოდგენილი. უსდ მუშაობს აღნიშნულ დოკუმენტზე.
7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	
7.4. ფინანსური რესურსი	
• უსდ-მ უნდა დახვეწოს ბიუჯეტირების პროცესი, რათა დაგეგმვის პროცესში ჩართული იყოს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და საკუთარი საქმიანობის შესაბამისად თავად შეეძლოთ პრიორიტეტების ასახვა ბიუჯეტში.	უსდ-ის ფინანსურმა სამსახურმა შეიმუშავა დოკუმენტი „ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“. დოკუმენტი არეგულირებს ბიუჯეტირების პროცესს, პროცესის განმახორციელებელ და მასში ჩართულ მხარეებს, სისტემას, ბიუჯეტის ფორმირების ძირითად პრინციპებს, ვადებს, ბიუჯეტის შემუშავების პროცესს. დოკუმენტის თანახმად, ბიუჯეტირების პროცესი გახდა დეცენტრალიზებული, რაც ნიშნავს იმას, რომ ბიუჯეტის შედგენის პროცესი იწყება სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების ჩართულობით, მათ მიერ ხდება საკუთარი საქმიანობისა და პრიორიტეტების შესაბამისად ხარჯების განსაზღვრა და უნივერსიტეტის ბიუჯეტის შედგენა სწორედ სტრუქტურული და საგნმანათლებლო ერთეულების საჭიროებების გათვალისწინებით. უსდ-ის 2019 წლის ბიუჯეტი სწორედ აღნიშნული დოკუმენტის მოთხოვნების გათვალისწინებითა და დოკუმენტში აღწერილი ბიუჯეტის შედგენის პროცედურების შესაბამისად შემუშავდა. ამდენად, უნივერისატეტის 2019 წლის ბიუჯეტი ითვალისწინებს სტრუქტურული და საგანმანათლებლო ერთეულების მოთხოვნებს, საჭიროებებსა და მათ პრიორიტეტებს.
• აუცილებელია სტრუქტურული ერთეულების ინფორმირების მექანიზმის შემუშავება, რათა მათ ჰქონდეთ ინფორმაცია	(ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურების დოკუმენტ არეგულირებს და განსაზღვრავს ბიუჯეტის მონიტორინგის მექანიზმებს და საჭიროების შემთხვევაში კორექტირების პროცედურებს.

წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობაზე.	დოკუმენტის თანახმად, ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგი ხორციელდება ქვედა იერარქიულ დონეზე (დეცენტრალიზებული ბიუჯეტის არსიდან გამომდინარე), რაც გულისხმობს იმას, რომ ფინანსური სამსახური ახორციელებს ბიუჯეტის მუხლების ანალიზს და წამოჭრილ საკითხებს განიხილავს ისევ სტრუქტურულ და საგანმანათლებლო ერთეულებთან ერთად. დოკუმენტის თანახმად, ფინანსური სამსახური პასუხისმგებელია, უზრუნველყოს რექტორისა და მმართველი საბჭოს ინფორმირება ბიუჯეტის ცალკეული მუხლის შესრულების მიმდინარეობის შესახებ, და წარუდგინოს რეკომენდაციები ბიუჯეტის კორექტირების საჭიროების შესახებ. 2019 წლის ბიუჯეტის შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს ფინანსური სამსახური, აღნიშნული მიზნით სამსახურის მოთხოვნის საფუძვლეზე უნივერსიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა მოამზადეს ანგარიშების ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით და წარუდგინეს ფინანსურ სამსახურს. აღნიშნული ანგარიშების საფუძველზე ფინანსური სამსახური აანალიზებს ბიუჯეტის გეგმის მიხედვით შესრულებისა და დაკორექტირების საჭიროების საკითხებს.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადგილზე ვიზიტის მსვლელობაში მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ უსდ შესაბაისობაშია I, II, III, IV, V და VI სტანდარტებთან და მეტწილად შესაბამისობაშია VII სტანდარტთან.

რეკომენდაციები

- მისამართზე დავით გურამიშვილის გამზირი N76, სასწავლო და დამხმარე ფართების გამიჯნვა;
- რათა შესაძლებელი გახდეს მეტი სიზუსტით განისაზღვროს დამატებით რამდენი სტუდენტის მომსახურებას შეძლებს დაწესებულება;
- მისამართზე სარაჯიშვილის ქუჩა N17 საამშენებლო სამუშაოების დროულად დასრულება, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის

შემთხვევაში, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესი.

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გასაწევი ხარჯების საპროგმოზო გეგმა 2025 წლის ჩათვლით, რათა განისაზღვროს სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, მოსალოდნელი დინამიკა.
- ქართულენოვანი, სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემის შესატყვისი ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა, უცხოენოვანი სტუდენტებისათვის მკაფიო, ზუსტი, სრულყოფილი ,განახლებული ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.
- დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს შესაძლო რისკების დადგომისას, ბიუჯეტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები,
- დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინა საანგარიშგებო წლების აუდიტის ჩატარება.
- 2020-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში.

რჩევები

- სასურველია აკადემიური კონკურსის გონივრული ვადების შერჩევა და პროცესების მეტი გამჭირვლობისთვის ვადების ოპტიმალური გადანაწილება.
- სამედიცინო მიმართულებით სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს გამოსაყოფი თანამედროვე მედიცინის პრიორიტეტები, არაგადამდები დაავადებების სწავლების სტრატეგია, სილაბუსებში დაემატოს ახალი სახელმძღვანელოები და გადაიხედოს გარკვეული საგნებისათვის გამოყოფილი დრო.
- შეფასებისათვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება სტუდენტის პორტფოლიოს პრაქტიკის შემოღება.
- სასურველია, რომ სისტემურად იყოს დაგეგმილი და განხორციელებული ახალი თანამშრომლებისათვის მარეგულირებელი დოკუმნეტების გაცნობა, მათი უფლება-მოვალეობებისა და საქმისწარმოების სისტემის გააზრების მიზნით.
- სასურველია, უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა ან იურიდიულმა კლინიკამ შეითავსოს სტუდენტთა (როგორც ქართველების ასევე უცხოელების) იურიდიული კონსულტირების როლი და სათანადო დახმარება გაუწიოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულსა ან/და პერსონალთან მიმართებით სირთულეების აღმოცენების შემთხვევაში.
- სასურველია, უნივერსიტეტში არსებობდეს ისეთი გზამკვლევი უცხოელი სტუდენტების, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისების შესახებ, ასევე ვის, რა დროს, როგორ მიმართოს და ა.შ.
- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასურველია უნივერსიტეტმა ვებ გვერდზე განათავსოს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესი და სტიპენდიების, ფასდაკლებებისა და ფასიანი საჩუქრების განსაზღვრის წესი.
- ვინაიდან უსდ-ს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი აქვს და სტრატეგიაში დეკლარირებული აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სამომავლო

განვითარებისათვის სასურველი იქნებოდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის აქტივობები გაწერილი იყოს წლების (ვადების) მიხედვით, შესრულების ინდიკატორების და პასუხისმგებელი პირების მითითებით, რაც შესაძლებელს გახდის ეფექტური მონიტორინგის წარმოებას და უნივერსიტეტის ბიუჯეტის რელევანტურად და ეფექტურად განაწილებას, რაც განაპირობებს აკადემიურ და სამეცნიერო პროცესების მდგრადობას და რისკების აცილებას.

- მისამართზე სარაჯიშვილის ქუჩა N17 შიდა აზომვით ნახაზზე მითითებული ფართების შესაბამისად, სასწავლო და დამხმარე ფართების დაზუსტება;
- მისამართზე დავით გურამიშვილის გამზირი N76, დროულად დასრულდეს შენობის ფასადზე ლიფტის სამონტაჟო სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს სსსმ პირთა შეუფერხებლად გადაადგილებას შენობის მთელ პერიმეტრზე.
- სრულად იქნეს გათვალისწინებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
- ბეჭდური წიგნების რაოდენობის გაზრდა სილაბუსების შესაბამისად, რათა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს მათი მნოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;
- ბიბლიოთეკის დროულად გაფართოება, რადგან კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში შეუფერხებლად მოხდეს პერსონალის და სტუდენტთა მომსახურება;
- წიგნადი ფონდის დამუშავების დროულად დასრულება.
- სასურველია დაწესებულებამ ვებგვერდზე განათავსოს: ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ინფორმაცია სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.
- სასურველია დაწესებულებამ/საფინანსო სამსახურმა, საფინანსო საქმიანობის განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს დოკუმენტით ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ ;
- სასურველია, დაინიშნონ მატერიალურ ფასეულობების მოვლა/შენახვაზე პასუხიმგებელი პირები.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☒	☐	☐	☐
2.	**უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☒	☐	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☒	☐	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☒	☐	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☒	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☒	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☒	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☒	☐	☐	☐
4.	**უსდ-ის პერსონალი**	☒	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☒	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☒	☐	☐	☐
5.	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6.	**კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☒	☐	☐	☐
7.	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

შემაჯამებელი დასკვნა

უსდ-ის მიერ წარმოდგენილი და ადგილზე ვიზიტის მსვლელობისას გამოთხოვილი დოკუმენტების შესწავლის, ჩატარებული ინტერვიუებისა და დაწესებულების რესურსების დათვალიერების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემულ ეტაპზე არამიზანშეწონილია სტუდენტების ზღვრული რაოდენობის **მოთხოვნილი** რაოდენობით გაზრდა, თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უსდ-მ განვითარების მნიშვნელოვანი და გრძელი გზა გაიარა წინა მონიტორინგის შემდეგ, სახეზეა მოტივაცია და მზაობა შემდგომი განვითარებისათვის. შესაბამისად, წარმოდგენილ დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინების პირობებში შესაძლებელია ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხზე მსჯელობა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ლილი ხეჩუაშვილი (თავმჯდომარე)

2. ნინო ბერიშვილი (წევრი)



3. თამარ ვახტანგაძე (წევრი)

4. ხათუნა საგანელიძე (წევრი)

5. სალომე ძაგნიძე (წევრი)



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1. უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და/ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წინა მონიტორინგის დროს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-ს აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული მისია, რომელიც აღწერილია 2019-2015 წლების სტრატეგიის დოკუმენტში. მასში დეკლარირებულია, რომ უსდ არის ევროპულ ღირებულებებზე დაფუძნებული, მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომლის მისიაა (ა) სტუდენტზე ორიენტირებული, ხარისხიანი უმაღლესი განათლების შეთავაზება; (ბ) ადგილობრივი და საერთაშორისო დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება; (გ) სამეცნიერო/კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა; (დ) საქართველოში ცოდნის საზოგადოებასა და ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირებაში აქტიური მონაწილეობა და საკუთარი წვლილის შეტანა; (ე) კრიტიკული აზროვნების, ინოვაციური და აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებით, ადგილობრივი და საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თვითრეალიზებისა და შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობა; (ვ) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის აკადემიური თავისუფლების უზრუნველყოფა; (ზ) სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში, საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვა, მთელი სიცოცხლის განმავლობაში განათლების უზრუნველყოფა, ტოლერანტობის, ურთიერთპატივისცემისა და კულტურათაშორისი დიალოგის ხელშეწყობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ევროპის უნივერსიტეტის 2019-2015 წლების სტრატეგიის დოკუმენტი; • უნივერსიტეტის რექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან და პერსონალთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: --
რჩევები: --
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2. სტრატეგიული განვითარება
○ უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). ○ უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას ინსტიტუციაში დაგროვილ ცოდნას, ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. ○ უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: წინა მონიტორინგის დროს მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-მ დაასრულა მუშაობა სტრატგიული განვითარების შვიდწლიან და სამოქმედო სამწლიან გეგმაზე. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია ცხრილის სახით, რომელშიც აღწერილია სტრატეგიული პრიორიტეტები: (1) უნივერსიტეტის რესურსების მართვის ეფექტური სისტმების განვითარება; (2) ადგილობრივ/საერთაშორისო უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლება/შეფასების მეთოდებისა და სწავლების ხარისხის მდგრადი განვითარება და ინტერნაციონალიზაცია; (3) სტუდენტების კონტინგენტის დაგეგმვის, ხარისხის ამაღლებისა და პერსპექტიული აბიტურიენტების მოზიდვის ეფექტური სისტემის გამართვა და განხორციელება; (4) ხარისხის კონტროლის მექანიზმების მდგრადი განვითარება და ეფექტური იმპლემენტაცია; (5) ბრენდის განვითარება და სოციალური პასუხისმგებლობის ამაღლება; (6) ინოვაციური კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხელშეწყობის ეფექტური სისტემის განვითარება და ადგილობრივ/საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით საუკეთესო კვლევითი პრაქტიკის გაზიარება და (7) სტუდენტური სერვისებისა და გარემოს განვითარება. წარმოდგენილ ცხრილში სათითაოდ არის გაწერილი შესასრულებელი ამოცანები, შესაბამისი აქტივობები, განხორციელების პერიოდი (თვეების სიზუსტით), შესრულების ინდიკატორები, გადამოწმების წყარო, განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული, ჩართული მხარეები და მოსალოდნელი რისკები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით უსდ-მ შეიმუშავა კვარტლური მონიტორინგის მექანიზმი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი მონიტორინგის პროცედურა. ვიზიტის მომენტისათვის უსდ-ს დასრულებული ჰქონდა მიმდინარე წლის პირველი კვარტლის მონიტორინგი და წარმოადგინა შესაბამისი ანგარიში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ევროპის უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიის დოკუმენტი; • ევროპის უნივერსიტეტის 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმა; • ევროპის უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმის შესრულების პირველი კვარტლის მონიტორინგის ანგარიში; • ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: --
რჩევები: --
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1. ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მონიტორინგის ვიზიტის მომენტისათვის უსდ-ს გათვალისწინებული ჰქონდა მიღებული რეკომენდაცია ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით. არსებული ვითარებით რეორგანიზებულია სტრქუტურა, რომელიც უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელებას. უსდ-ს ჰყავს რექტორი და მრჩევლები.

უნივერსიტეტს მართავს მმართველი საბჭო, რომელიც განიხილავს როგორც საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებულ, ისე უნივერსიტეტის საქმიანობასთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ საკითხესაც.

მმართველი საბჭოს უფლებამოსილება, ფუნქციები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა, მუშაობის ფორმატი, შემადგენლობა და საბჭოს წევრების შერჩევის კრიტერიუმები რეგულირდება მმართველი საბჭოს დებულებით და მის შემადგენლობაში შედის რექტორი, ვიცე რექტორები ადმინისტრაციული, საგარეო ურთიერთობებისა და სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებებით, ფაკულტეტის დეკანები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი, აფილირებული აკადემიური პერსონალი თითოეული ფაკულტეტიდან, კურსდამთავრებული და სტუდენტი თითოეული ფაკულტეტიდან, სტუდენტური თვითმართველობის თავმჯდომარე და ერთი პოტენციური დამსაქმებელი.

მმართველი საბჭოს წევრების არჩევა გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურებით ხდება, არჩევის კრიტერიუმები ცნობილია და განსაზღვრულია მმართველი საბჭოს დებულებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ევროპის უნივერსიტეტის დებულება;
- მმართველი საბჭოს დებულება;
- ევროპის უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- რექტორთან, მრჩევლებთან და მმართველ საბჭოსთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: --

რჩევები: --

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ში ხარისხის უზრუნველყოფისათვის ფუნქციონირებს ხარისხის განვითარების სამსახური, რომლის საქმიანობაც რეგულირდება დოკუმენტით „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები“. აღნიშნულ დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების მიზნები და გამოყენების არეალი, რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამებს, პროგრამებში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, თავად სასწავლო პროცესსა და კვლევას, მართვის პროცესებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა მუშაობს ციკლის „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, იმოქმედე“ პრინციპით და თანამშრომლობს უსდ-ის ყველა სტრუქტურულ ერთეულთან საჭიროებებიდან გამომდინარე. სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, რომლის ფუნქცია-მოვალეობები და საკვალიფიკაცო მოთხოვნები გაწერილია ადმინისტრაციული პერსონალის სამუშო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტში.

წინა ვიზიტის რეკომენდაციის შესაბამისად, უსდ-მ შეიმუშავა „სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომლითაც განისაზღვრება უნივერსიტეტში სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დადგენის პროცესში გასათვალისწინებელი ფაქტორები (უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი, პრაქტიკის ბაზები, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნადობა) და თითოეული ფაქტორის გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამებსა და, შესაბამისად, უნივერსიტეტში სტუდენტთა მაქსიმალური დასაშვები რაოდენობის გამოთვლის გზები.

მეთოდოლოგიის შემუშავების პროცესში აქტიურად იყვნენ ჩართულები ფაკულტეტის დეკანები და საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, მეთოდოლოგიის მიხედვით მონაცემების შეგროვება და თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასში გაწერილი ფაქტორების გათვალისწინებით სტუდენტთა ზღვრული რაოდენობები საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა გათვალეს და წარმოადგინეს ანგარიშები. ამ ანგრიშებზე დაყრდნობით დადგინდა უნივერისიტეტის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები;
- ადმინისტრაციული პერსონალის სამუშო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- უსდ-ის ადმინისტრაციასთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები: --

რჩევები: --

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

○ უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
○ უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
○ უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური კეთილსინდისიერების და პლაგიატთან დაკავშირებულ საკითხებზე სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების კუთხით მიღებული რეკომენდაციის საპასუხოდ უსდ-ში ჩატარდა ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებები და ტრენინგი აკადემიური პერსონალისთვის. დანერგილია Turnitin-ის გამოყენების პრაქტიკა.

გარდა ამისა, მედიცინის ფაკულტეტზე ყველა სილაბუსში შეტანილია აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, როგორც სტუდენტებისთვის სავალდებულო ინფორმაცია; საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილია აკადემიური წერისა და/ან კვლევის მეთოდების კურსები, სადაც შეტანილია და ისწავლება აღნიშნული საკითხები.

ვიზიტის მსვლელობისას მატერიალური რესურსის დათვალიერებისას დადასტურდა, რომ უნივერსიტეტის მისაღებ დარბაზში დამონტაჟებულია მონიტორი სადაც მუდმივად გაშვებულია პლაგიატთან დაკავშირებული ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- კურსების სილაბუსები;
- ვიზუალური დათვალიერება;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ცენტრთან და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: --

რჩევები: --

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტში ფაკულტეტის შექმნა, რეორგანიზაცია, შერწყმა, ლიკვიდაცია, განსახორციელებელი პროგრამული მიმართულებები და ფაკულტეტის სახელწოდება განისაზღვრება მმართველი საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე, რექტორის სამართლებრივი აქტით. მმართველი საბჭოს სტრუქტურა იძლევა ამ ფუნქციის შესრულების შესაძლებლობას. ევროპის უნივერსიტეტს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის მეთოდოლოგია, პროგრამის შეფასების და ანალიზის მექნიზმები.

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა მრავალსაფეხურიანი პროცესია და მოიცავს შემდეგ საფეხურებს: (ა) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის ფარგლებში განისაზღვრება პროგრამის აქტუალობა, საჭიროება და აუცილებელი რესურსები (პროგრამის აქტუალობისა და საჭიროების დადგენა ხდება შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და აბიტურიენტების მოთხოვნის ანალიზის საფუძველზე); (ბ) საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა და საპროგრამო კომიტეტის შექმნა; (გ) მუშაობის პროცესში ჩართული სტრუქტურული ერთეულებისა და ცალკეული პირების განსაზღვრა; (დ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და სასწავლო გეგმის შედგენა. მთელი ეს პროცესი კოლექტიური გადაწყვეტილების მიღებას საჭიროებს, რასაც უნივერსიტეტი მმართველი საბჭოს დებულების საფუძველზე უზრუნველყოფს. ყოველივე ამის განხილვა მიმდინარეობს საბჭოზე, სადაც გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა დამსწრეთა უმრავლესობის თანხმობა.

პროგრამის განვითარებაზე ზრუნვა მმართველი საბჭოს ფუნქციაა, მმართველ საბჭოში წარმოდგენილი არიან როგორც უნივერსიტეტის მმართველი სტრუქტურები, ისე სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. ამით უზრუნველყოფილია აზრის გაზიარება და გადაწყვეტილების კოლექტიური განხილვის შედეგად მიღება,

2019 წლის დასაწყისიდან შექმნილია პროგრამის განვითარების კომიტეტი. დაიწერა პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა. განახლდა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. უნივერსიტეტში არსებულმა სამუშაო ჯგუფმა გააანალიზა უნივერსიტეტის წინაშე წამოჭრილი სტრატეგიული ამოცანები და შესაძლებლობები.

ახალი ამოცანები ასახულია 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში. შემუშავდა და დამტკიცდა შემდეგი წლის სამოქმედო გეგმა; ახალი სამოქმედო გეგმა გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და განხილულია.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამას, შეიქმნა პროგრამის განვითარების კომიტეტი; შემუშავდა პროგრამის განვითარების სამოქმედო გეგმა; განახლდა დიპლომირებული მედიკოსის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა მედიცინის ახალი დარგობრივი მახასიათებლის შესაბამისად. თუმცა ეს მიმდინარე პროცესია და დასახვეწია ახალ დარგობრივ სტანდარტებითან სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად, ინტეგრაციის პრინციპების განსახორციელებლად.

რაც შეეხება პროგრამის განვითარების პროცესს, ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს: (ა) მონაცემების შეგროვება ანუ პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე

მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირი მეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით; (ბ) მონაცემების დამუშვება ანუ მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი; (გ) ხარვეზების გამოყოფა ანუ ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი ხარვეზების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელებისა და პროგრამის კომიტეტის მიერ; (დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა ანუ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი ხარვეზების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა; (ე) ცვლილებების განხორციელება ანუ აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა შიდასაუნივერსიტეტო აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • Relation of Programme Objectives to Learning Outcomes/General Competencies • ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დასკვნის ფორმა, პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ; • აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია • საგანმანათლებლო პროგრამის ყოველწლიური შეფასების ფორმა; • საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების დასაბუთების ფორმა; • პროგრამის არააკრედიტებულ რეჟიმში განხორციელების ფორმა; • სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; • კურსდამთავრებულის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; • დამსაქმებლის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; • კითხვარი; • პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კითხვარი; • დანართი #4 - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლი; • ბიზნესუწყვეტობის პოლიტიკა და პროცედურები; • ბიზნეს პროცესების რისკების შეფასებისა და უწყვეტობის პოლიტიკა, პროცედურები და ბიზნესუწყვეტობის გეგმა; • ბიზნესუწყვეტობის გეგმა; • გამოკითხვის შედეგების ანალიზი; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები: --
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. ○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: პროგრამის შემუშავებისას უსდ ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, კრედიტების გადატანისა და დაგროვების სისტემით. უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით მათ უპრობლემო ჩართულობას სასწავლო პროცესში. მედიცინის დარგში ასახულია დარგობრივი სტანდარტები, ინერგება სწავლებისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების თანამედროვე სტანდარტები (მაგ. მულაჟები და მანეკენები, თანამედროვე საგამოცდო ცენტრი, OSCE). კრედიტების გადანაწილება შესაბამისობაშია დარგობრივ სტანდარტებთან, შემოტანილია კლინიკური პრაქტიკის კომპონენტი (20 კრედიტი), სილაბუსები, ძირითადად, აგებულია თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე, თუმცა ახალ ინტეგრირებულ სასწავლო პროცესზე გადასვლა მოითხოვს ახალი სილაბუსების შექმნას, არსებულის დახვეწასა და გაუმჯობესებას. პროგრამის სტრუქტურა გაგრძელებადია, შემადგენელი კომპონენტები, ძირითადად, ლოგიკურია და ორიენტირებულია საშუალო შესაძლებლობის სტუდენტზე. გამოყენებული სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია დარგის მოთხოვნებთან, იძლევა შესაძლებლობას სრულად იქნეს მიღებული სამიზნე შედეგები, ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამებზე ხელმისაწვდომია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სქემა. • საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; • საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების ციკლი; • ინტერვიუები ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან და ფაკულტეტის დეკანებთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები: • სამედიცინო მიმართულებით სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს გამოსაყოფი თანამედროვე მედიცინის პრიორიტეტები, არაგადამდები დაავადებების სწავლების სტრატეგია, სილაბუსებში დაემატოს ახალი სახელმძღვანელოები და გადაიხედოს გარკვეული საგნებისათვის გამოყოფილი დრო.
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3. სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: უსდ-ში მოქმედებს სწავლის შედეგების შეფასების დამაკმაყოფილებელი სისტემა, ინერგება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი შეფასების სისტემები, უნივერსიტეტი მზადაა კომპიუტერიზებულ საგამოცდო სისტემაზე გადასასვლელად, არის აღჭურვილი დარბაზები ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის ჩასატარებლად, გამოყოფილი ტერიტორია უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ადექვატურად ჩატარებას. სამოქმედო გეგმაში შეტანილია საგამოცდო სისტემის და შეფასების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, ცვლილებების შეტანის და გაუქმების პროცედურები; • სილაბუსის ფორმა; • პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემა; • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; • ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.
რეკომენდაციები: --
რჩევები: • შეფასებისათვის გაცილებით მოსახერხებელი იქნება სტუდენტის პორტფოლიოს პრაქტიკის შემოღება.
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, ადმინისტრაცია მუდმივად ზრუნავს თავისი პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.
- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, რომლის მიერ შემუშავებულია და მმართველთა საბჭოს მიერ დამტკიცებულია „პერსონალის მართვის პოლიტიკა“.

აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს მართვის ძირითად პირინციპებს, სადაც გაწერილია პერსონალის მოზიდვის, შერჩევისა და აყვანის პროცედურები, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის სისტემა, პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა წახალისება და დისციპლინარული პასუხისმგებლობა.

ადამიანური რესურსების მართვის სამსახური აგვარებს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კონკურსთან დაკავშირებულ საკითხებს, აგრეთვე, აქტიურადაა ჩართული გასაუბრების პროცესში. გასაუბრების პროცესის გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, სამსახურის მიერ ხდება აკადემიური პერსონალის გასაუბრების ეტაპების, მათ შორის იმიტირებული ლექციების უზრუნველყოფა და ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ერთად შემუშავებული იმიტირებული ლექციების შეფასების ფორმით ხელმძღვანელობა, რომლითაც კომისიის წევრები სარგებლობენ კონკურსის მიმდინარეობის პროცესში და აფასებენ მონაწილე კანდიდატებს.

უნივერსიტეტში პირი აკადემიურ თანამდებობაზე მხოლოდ ღია კონკურსის საფუძველზე მიიღება. კონკურისის პირობები და არჩევის კრიტერიუმები წინასწარ არის გაწერილი. ამასთან, „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები“-ს თანახმად, აკადემიურ პერსონალს შეთანხმების შემთხვევაში უფორმდება აფილირებული პერსონალის ხელშეკრულება.

უნივერსიტეტში ახალი თანამშრომელი, ადმინისტრაციულ თანამდებობაზე, მიიღება 6 თვიანი გამოსაცდელი ვადით, მისი უნარებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე, ორგანიზაცის კულტურასა და მოთხოვნებთან პირის შესაბამისობის, დადგენის მიზნით.

უნივერსიტეტში, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით, შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა და თანამდებობეს შორის საქმიანობის გადაფარვა ნაკლებად მოსალოდნელია, რაც ხელს უყობს ადმინისტრაციული სტრუქტურების გამართულ მუშაობას.

უნივერსიტეტში ახალი თანამშრომლის ადაპტაციას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, უშუალო უფროსი და კოლეგები, რომლებიც პირს სამუშაო ადგილზე ხვდებიან.

პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, წახალისების, პროფესიული განვითარების საჭიროებებისა და სხვა, პერსონალის მართვის

პოლიტიკითა თუ შიდა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული, შედეგების წარმოშობის წინაპირობების დადგენის მიზნით უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება ხელს უწყობს სამეცნიერო-სასწავლო საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდას, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებას, შემოქმედებითი ინიციატივის გაღვივებას, რაც მიმართულია უნივერსიტეტის განვითარებასა და ხარისხის ამაღლებაზე. პერსონალის აკადემიური და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემაჯამებელი შეფასება ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ.

პროფესიურლი განვითარების მიზნით ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის ხელმძღვანელობით 2018 წლის აგვისტოდან ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის განხორციელდა არაერთი ღონისძიება, მაგალითად, ტუტორების მომზადება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებისთვის (PBL); ტრენინგი აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის თემაზე აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხები, პლაგიატთან ბრძოლის მექანიზმები, პროგრამა Turnitin-ის გამოყენება; ტრენინგი აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის თემაზე - როგორ მოვიპოვოთ საერთაშორისო გრანტები; ტრენინგი: ინტეგრირებული კურიკულუმი, სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგების გაწერა პროგრამაში. ამ პერიოდი განმავლობაში უნივერსიტეტის მიერ აკადმიური და მოწვეული პერსონალი იქნა გაგზავნილი საზღვარგარეთ სხვადასხვა ტრენინგზე და კონფერენციაზე. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების სისტემის დანერგვა დაგეგმილია 2019-20 აკადემიური წლიდან, საპილოტე შეფასება განხორციელდა და ამჟამად მიმდინარეობს შედეგების დამუშავება.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური საქმიანობის შეფასების პროცესში მონაწიელობენ ფაკულტეტის დეკანები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, სასწავლო პროცესის მენეჯერები, საგამოცდო ცენტრის ხელმძღვანელი. პეროსონალი იღებს უკუკავშირს მიღებული შედეგების შესახებ, საჭიროებისას იგეგმება გამოკვეთილი საყურადღებო საკითხების აღმოსაფხვრელი ქმედებები, ასევე, ხდება მიღებული საუკეთესო შედეგების წახალისება, რაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემისა და მექანიზმების ეფექტიანობას. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასების პროცესის ხელმძღვანელობა და შეფასების შედეგების გაანალიზება ხდება ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ, ხოლო ორგანიზების პროცესებში ხელშეწყობა ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის მხრიდან.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის მსვლელობისას გამოცხადებული კონკურსის დოკუმენტებისა და თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებების გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ ბოლო კონკურსი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცადდა მიმდინარე წლის 26 მაისს, განაცხადების მიღება მიმდინარეობდა 2 ივლისის ჩათვლით. საკონკურსო კომისია მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა 2 ივლისს, კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდა 3 ივლისს, მეორე -- 5 ივლისს, შედეგები დამტკიცდა და ხელშეკრულებები დაიდო 11 ივლისს. სწორედ აღნიშნულმა გარემოებამ განაპირობა ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის შემუშავება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის წესდება;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების წესი;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;

- მმართველი საბჭოს ოქმები;
- კონკურისის გამოცხადების, ეტაპების და შედეგების დოკუმენტაცია;
- ევროპის უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიურ, მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია აკადემიური კონკურსის გონივრული ვადების შერჩევა და პროცესების მეტი გამჭირვლობისთვის ვადების ოპტიმალური გადანაწილება.
- სასურველია, რომ სისტემურად იყოს დაგეგმილი და განხორციელებული ახალი თანამშრომლებისათვის მარეგულირებელი დოკუმნეტების გაცნობა, მათი უფლება-მოვალეობებისა და საქმისწარმოების სისტემის გააზრების მიზნით.

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უსდ-ში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების/სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მიმდინარე მონაცემებით, უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობას იკავებს: 49 პროფესორი, 60 ასოცირებული, 55 ასისტენტ-პროფესორი და 6 ასისტენტი. მათ შორის: 49 აფილირებულია.

პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას თითოეულ პროგრამაზე უნივერსიტეტის მიერ მხედველობაში მიიღებოდა შემდეგი საკითხები: (ა) საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა; (ბ) ევროპის უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში სასწავლო კურსებზე ჯგუფში დაშვებული სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა; (გ) საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, სემესტრის განმავლობაში, სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე კვირაში ჩასატარებელი სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობის საათების რაოდენობა; (დ) აკადემიური პერსონალისთვის დაშვებული ჩასატარებელი საათების მაქსიმალური რაოდენობა; (ე) ევროპის უნივერსიტეტში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის დადგენილი სამიზნე ნიშნულები.

უნივერსიტეტის „აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობების“-ს დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი აფილირებული აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა. „აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ დოკუმენტის თანახმად საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში (ყველა საფეხურზე) სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებზე ჩასატარებელი საათების მინიმუმ 60%-ს უნდა კითხულობდეს აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, მაქსიმუმ 40%-ს - მოწვეული პერსონალი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს გარემოება რთული მისაღწევი იქნება იმ პირობებში, როდესაც მედიცინის პროგრამის ფარგლებში კლინიკური კურსების განსახორციელებლად დაკონტრაქტებულია 60-ზე მეტი აფილირებული დაწესებულება მაშინ, როდესაც სამედიცინო დაწესებულებებში არსებული ლექტორები არ არიან უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი.

უნივერსიტეტის რეგულაციის თანახმად. საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დაშვებულია:

- სასწავლო კურსებზე ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა: სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე მაქსიმუმ 75 სტუდენტი; სასწავლო კურსების პრაქტიკულ ნაწილზე მაქსიმუმ 25 სტუდენტი. მედიცინის ფაკულტეტზე: I, II, III სასწავლო წელს, საბაზისო სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე - მაქსიმუმ 66 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე მაქსიმუმ 22 სტუდენტი; IV, V, VI სასწავლო წელს, კლინიკური სასწავლო კურსების თეორიულ ნაწილზე მაქსიმუმ 66 სტუდენტი, პრაქტიკულ ნაწილზე მაქსიმუმ 11 სტუდენტი;
- უცხო ენების სასწავლო კურსების შემთხვევაში, ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 22 სტუდენტი;
- სასწავლო კურსების შემთხვევაში, სადაც საჭიროა ლაბორატორიული მეცადინეობები, ჯგუფში სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობაა 22 სტუდენტი.

აკადემიური პერსონალის სემესტრული სასწავლო დატვირთვა:

- პროფესორი - კვირაში მაქსიმუმ 18 აკადემიური საათი;
- ასოცირებული პროფესორი - კვირაში მაქსიმუმ 21 აკადემიური საათი;
- ასისტენტ-პროფესორი - კვირაში მაქსიმუმ 24 აკადემიური საათი;
- ასისტენტი - კვირაში მაქსიმუმ 24 აკადემიური საათი.

ვინაიდან მედიცინის პროგრამა მიმდინარეობს ძველი აკრედიტაციის პირობის თანახმად, ხოლო ახალ დარგობრივ სტანდარტთან შესაბამისი პროგრამა მზადების პროცესშია და ჯერ არ ფუნქციონირებს, სამომავლოდ პროგრამის განხორციელებისთვის აკადემიური პერსონალის რაოდენობის, მათი საათობრივი დატვირთვის და სტუდენტთან რაოდენობის შესაბამისობის დადგენა ამ ეტაპზე რთულია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის ხელშეკრულებები;
- მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- მედიცინის საგანმანათლებლო ახალი პროგრამის სამუშაო ვერსია;
- გასაუბრების შედეგები;
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები.

რეკომენდაციები: --

რჩევები:

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული რეგისტრაციის, დამატებით სემესტრზე და დამატებით სასწავლო კურსებზე რეგისტრაციის, მობილობის, მიღებული განათლების აღიარების, კვალიფიკაციის მინიჭების და სხვა პროცედურების შესახებ. დოკუმენტი საჯაროა და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის. როგორც ქართველი, ასევე უცხოელი სტუდენტები ერკვევიან სასწავლო პროცესში არსებულ პროცედურებში და იციან, ვის მიმართონ იმ შემთხვევაში თუკი რაიმე შეფერხება ექნებათ სასწავლო პროცესში.

უნივერსიტეტის ვებგვერდზე მოცემულია სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში, რომელიც აღწერს მხარეთა უფლება-ვალდებულებებს. სტუდენტებმა (როგორც ქართველებმა, ასევე უცხოელებმა) ინტერვიუირებისას აღნიშნეს, რომ ხელის მოწერამდე განუმარტეს ხელშეკრულების პირობები.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომელიც იცავს სტუდენტების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, იხილავს სტუდენტების საჩივრებს აკადემიური და ადმინისტრაციული ორგანოებისა და პერსონალის საქმიანობასთან დაკავშირებით. სტუდენტები იცნობენ გამოცდებში მიღებული შედეგების გასაჩივრების პროცედურებს, რომელიც მოცემულია საგამოცდო ცენტრის დებულებაში.

უნივერსიტეტს უცხოელი სტუდენტებისთვის შემუშავებული აქვს „გზამკვლევი საერთაშორისო სტუდენტებისათვის“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურებისა და ეტაპების შესახებ და მიმოიხილავს საქართველოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://eu.edu.ge/ge
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- სახელმძღვანელო საერთაშორისო სტუდენტებისთვის;
- სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- საგამოცდო ცენტრის დებულება.

რეკომენდაციები: --

რჩევები:

- სასურველია, უნივერსიტეტის იურიდიულმა სამსახურმა ან იურიდიულმა კლინიკამ შეითავსოს სტუდენტთა (როგორც ქართველების ასევე უცხოელების) იურიდიული კონსულტირების როლი და სათანადო დახმარება გაუწიოს რომელიმე ადმინისტრაციული ერთეულსა ან/და პერსონალთან მიმართებით სირთულეების აღმოცენების შემთხვევაში.
- სასურველია, უნივერსიტეტში არსებობდეს ისეთი გზამკვლევი უცხოელი სტუდენტების, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისების შესახებ, ასევე ვის, რა დროს, როგორ მიმართოს და ა.შ.

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2. სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სასწავლო პროცესის დაგეგმვისას სტუდენტებს კონსულტირებას უწევენ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერები, რომლებიც ეხმარებიან მათ კურსების შერჩევა-რეგისტრაციაში. სტუდენტები სასწავლო პროცესში გაჩენილ ნებისმიერ კითხვაზე პასუხისათვის სწორედ სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერებს მიმართავენ, რომლებიც შესაბამის სამსახურთან გადაამისამართებენ საჭიროების შემთხვევაში.

მედიცინის ფაკულტეტზე არსებობს კომუნიკატორების სერვისი, რომელიც დაკომპელქტებულია სტუდენტებით და მთავარი ფუნქციაა სტუდენტებს გაუზიარონ ფაკულტეტზე დაგეგმილი ცვლილებებისა და ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე, არსებობს ტუტორების სერვისი, რომლის საშუალებითაც მაღალ კურსელი სტუდენტები ეხმარებიან დაბალ კურსელ სტუდენტებს სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების დაძლევაში.

ევროპის უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა კარიერულ მხარდაწერას, არსებული ვაკანსიების გაზიარებას სტუდენტებზე და მათ დაკავშირებას დამსაქმებლებთან. აღნიშნული ცენტრი ატარებს სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვებს კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით, რომლის ანგარიშიც უნივერსიტეტმა წარადგინა.

საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში დამსაქმებლების ჩართულობის ხელშეწყობას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრი ახორციელებს სხვადასხვა გზით, როგორებიცაა დამსაქმებლებთან კითხვარების დაგზავნა, შეხვედრების ორგანიზება და ა.შ.

უსდ მუდმივად ატარებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევას მათ კარიერულ, პიროვნულ და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტში 2018 წელს ჩატარებული მონიტორინგის ერთ-ერთი რეკომენდაცია შეეხებოდა ინტერნაციონალიზაციის გაზრდას და სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობას. ამ მხრივ, უნივერსიტეტის წარდგენილ ანგარიშში მოცემულია გაცვლითი პროგრამების და ამით მოსარგებლე სტუდენტების რაოდენობა. გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღების პროცესი გამჭვირვალეა, უნივერსიტეტმა წარადგინა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესი, სადაც მოცემულია ყველა საჭირო ინფორმაცია მონაწილეობისთვის გასავლელი ეტაპების შესახებ. ამ ეტაპზე ხსენებული წესი უნივერსიტეტის ვებგვერდზე საჯარო არ არის, თუმცა ინტერვიურ მსვლელობაში სტუდენტებმა ისაუბრეს იმ მოთხოვნებსა და ეტაპებზე, რაც საჭიროა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მისაღებად.

უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სტუდენტების ინიციატივების დასაფინანსებლად. სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერა, ერთი მხრივ, ხდება სტუდენტური თვითმმართველობის მიერ გაკეთებული განახცადებით, მეორე მხრივ, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის სამოქმედო გეგმით. გამოყოფილია 126 800 ლარი თვითმმართველობისა და სტუდენტური აქტიობებისთვის; 90 000 ლარი — სტუდენტურ წვეულებებზე; 52 470 ლარი — სტუდენტურ კონფერენციებზე; 24 500 ლარი — სტუდენტურ სტიპენდიებზე.

უსდ უზრუნველყოფს დამატებითი, კურიკულუმის გარეშე დაგეგმილი სპორტული, ხელოვნების, შემეცნებითი აქტივობების წახალისებასა და სტუდენტური ინიციატივების ხელშეწყობას, მხარდაჭერას.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ცეკვის ანსამბლი, ფრენბურთის გუნდი, მხიარულთა და საზრიანთა გუნდი, მოლაშქრეთა კლუბი და ა.შ. გასაუბრებისას სტუდენტებმა გაიხსენეს სხვადასხვა აქტივობა, რომლებშიც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული (სოციალური ღონისძიებები, ექსკურსიები და ა.შ).

უნივერსიტეტში მოქმედებს გადასახადის გადახდის მოქნილი გრაფიკი. როგორც წესი, სწავლის ქირა ოთხ ნაწილად იყოფა, თუმცა სტუდენტის თხოვნის შემთხვევაში გადასახადის გადანაწილება სხვაგვარადაც ხორციელდება.

სტუდენტები სარგებლობენ საუნივერსიტეტო სტიპენდიითა და სასწავლო ფასდაკლებებით. უნივერსიტეტმა წარადგინა სტიპენდიების, ფასდაკლებებისა და ფასიანი საჩუქრების განსაზღვრის წესი, რომელიც ვებ გვერდზე არ მოიძებნება, თუმცა სტუდენტები ფლობენ ინფორმაციას ამ სერვისის შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ გვერდი: https://www.eu.edu.ge/ge
- ტუტორების ინსტიტუტის დებულება;
- კომუნიკატორების ინსტიტუტის დებულება;
- სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მომსახურების ცენტრის დებულება;
- გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესი;
- სტიპენდიების, ფასდაკლებებისა და ფასიანი საჩუქრების განსაზღვრის წესი.

რეკომენდაციები: --

რჩევები:

- ინფორმაციის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სასურველია უნივერსიტეტმა ვებ გვერდზე განათავსოს გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის წესი და სტიპენდიების, ფასდაკლებებისა და ფასიანი საჩუქრების განსაზღვრის წესი.

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, სახისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

6.1. კვლევითი საქმიანობა

- ○ უსდ, სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი მიმართულებების იდენტიფიცირებისა და ფინანსური და ადამიანური რესურსების პოტენციალის შეფასების საფუძველზე კვლევის პრიორიტეტულ მიმართულებებად მიიჩნეულია გამოყენებითი კვლევები მედიცინაში, ბიზნესსა და ტექნოლოგიებში, ასევე, კვლევები სამართლისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებების ხელშეწყობის აქტივობები გაწერილია 2019-2021 წლების სამოქმედო გეგმაში.

უნივერსიტეტის პოზიციაა, რომ გამოყენებით კვლევას წარმოადგენს კომერციალიზაციის პერსპექტივის მქონე ინოვაციური და ტექნოლოგიური ტრანსფერის განვითარებაზე ორიენტირებული კვლევა, რომელიც შეიძლება განხორციელდეს სამეცნიერო, არასამეცნიერო სექტორიდან (მცირე და საშუალო ბიზნესი, არასამთავრობო ორგანიზაციები, საჯარო დაწესებულებები) საქართველოში და/ან საზღვარგარეთ რეგისტრირებულ იურიდიულ პირ(ებ)თან მჭიდრო თანამშრომლობით, პროექტის განხორციელების შედეგად პროტოტიპის, ნიმუშის, პროგრამული უზრუნველყოფის (software) ან ტექნოლოგიის შექმნით, ახალგაზრდა მკვლევართა ჩართულობის უზრუნველყოფით. უნივერსიტეტი იზიარებს მოსაზრებას, რომ გამოყენებითი კვლევის განხორციელება შესაძლებელია ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით მხოლოდ ინტერდისციპლინარულ ფორმატში, რაც გულისხმობს კვლევის განხორციელებას მედიცინასთან ან ტექნოლოგიებთან კომბინაციაში.

სწორედ ამ პოზიციონირებით აქვს დაწყებული უნივერსიტეტს კვლევის მხარდაჭერის შემდეგი აქტივობები:

- გამოყნებითი მიმართულებით მედიცინის ფაკულტეტზე განხორციელდა და მიმდინარეობს შემდეგი კვლევები ფაკულტეტის პროფესორ მასწავლებლების და სტუდნტების ჩართულობით:
  - აუდიო ფაილების ზეგავლენა სტუდენტების აკადემიურ მოსწრებასა და სამეცნიერო ცნობიერებაზე Impact of audio files on students' academic performance and scientific awareness; კვლევის პრეზენტირება დაფინანსდა FEBS-ის მიერ ახალგაზრდა მკვლევრებისათვის გამოცხადებული გრანტით.

- პროექტი „ძილის დარღვევებისა და სტრესის გავლენა ევროპის უნივერსიტეტის უცხოელ სტუდენტთა შორის “Sleep disturbances and stress among the foreign medical students of European University, Georgia”, რომლის პირველი, საპილოტე ფაზა დაიგეგმა და განხორციელდა ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე. კვლევითი პროექტის შედეგები წარდგენილ იქნა ძილის მსოფლიო საზოგადოების მე-8 მსოფლიო კონგრესზე World Sleep 2019. აღნიშნული კვლევითი პროექტის მეორე ფაზა, სტუდენტების მეორე ჯგუფის მონაწილეობით, ჯერ კიდევ მიმდინარეობს და მისი დასრულება იგეგმება მიმდინარე წლის ივნისში. შედეგები წარდგენილი იქნება მომდევნო წელს დაგეგმილ ნეირომეცნიერთა კონგრესზე.
- „ადამიანის აღქმის დომინანტური პატერნების გავლენა ინტერპერსონალურ კომუნიკაციაზე: პაციენტ-ექიმის ურთიერთობის რაციონალიზაცია“ The influence of dominant patterns of perception on interpersonal communication: rationalization of patient-doctor relationships.

- ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტთან შექმნილია სპეციალურად აღჭურვილი ლაბორატორია eu-lab, რომელიც გამოყენებული იქნება გამოყენებითი კვლევებისასთვის. ლაბორატორია აღჭურვილია მძლავრი კომპიუტერებით, რომელთა გამოყენება შესაძლებელია გამოთვლითი ტიპის ამოცანების გადასაწყვეტად, სტატისტიკური ინფორმაციის დასამუშავებლად, მაღალტექნოლოგიური აპლიკაციების ასაგებად და სხვა ტიპის პროგრამული პროდუქტის შესაქმნელად.

უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებენ კვლევით კომპონენტს და აქტიურად ხდება სტუდენტების სამეცნიერო კვლევებში ჩართვის მოტივირება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმინობის ხელშეწყობის ცენტრის დებულება;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- გამოქვეყნებული პუბლიკაციები;
- უნივერსიტეტის მიერ გამოცემული სამეცნიერო ჟურნალები.

რეკომენდაციები: --

რჩევები: --

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით/სახელოვნებო საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულია 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია. ამ დოკუმენტის შემუშავება წარიმართა უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით. პროცესი მიზნად ისახავდა უნივერსიტეტის 2019-2025 წლების სტრატეგიის შესაბამისად, 2019-2025 წლების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებას. სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის შემუშავების მიზნით, რექტორის ბრძანებით ჩამოყალიბდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ: რექტორი, ვიცე-რექტორები, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის ცენტრის ხელმძღვანელი, კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ფინანსური სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი და ფაკულტეტების დეკანები. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა ევროპის უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის პირველადი ვარიანტი და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს, სტუდენტებთან ერთად, მიეცათ საშუალება გამოეთქვათ საკუთარი მოსაზრებები და მიეღოთ უკუკავშირი დოკუმენტის შემქმნელი სამუშაო ჯგუფის წევრებისგან. საბოლოო ვერსია დამტკიცებულია მმართველი საბჭოს მიერ.

აღნიშნული სტრატეგიის მიხედვით გასატარებელი აქტივობებია:

- სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
- გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის განვითარება და ინტერნაციონალიზაცია
- ინტერდისციპლინური და ინდივიდუალური კვლევების ინიცირების ხელშეწყობა
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვის სტიმულირება
- მედიცინის მიმართულებით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარება
- განხორციელებული სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია
- განხორციელებული კვლევების შედეგად დაგროვებული ცოდნის სასწავლო პროგრამებსა და პროცესებში ადაპტირება
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შეფასება და ახალი სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა

ევროპის უნივერსიტეტში მეცნიერების დაფინანსების ერთიანი სისტემის შექმნის, სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირების ნდობის ჩამოყალიბების, გამჭვირვალე და მოუკერძოებელი პროცედურიების შექმნისა და მეცნიერების დაფინანსებისათვის განკუთვნილი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპების დანერგვის მიზნით, ევროპის უნივერსიტეტში არსებობს შიდასამართლებრივი აქტი - „კვლევების დაფინანსების წესი“.

უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული 60 000 ლარის კვლევითი გრანტი და ამ ეტაპზე მიმდინარეობს განაცხადების მიღება.

გარდა ამისა, სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით აქტიური მუშაობის ხელშესახებ პროდუქტს წარმოადგენს უსდ-ში ჩამოყალიბებული და აქტიურად მოქმედი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშემწყობი ცენტრი, სამართლის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და გლობალიზაციის ეკონომიკური და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი. ამასთან, უნივერსიტეტი გამოსცემს ჟურნალებს, რომლებიც იძებნება საერთაშორისო ბაზებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგია;
- გამოცადებული გრანტი;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- კვლევების დაფინანსების წესი.

რეკომენდაციები: --

რჩევები:

- ვინაიდან უსდ-ს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი აქვს და სტრატეგიაში დეკლარირებული აქვს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა, სამომავლო განვითარებისათვის სასურველი იქნებოდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების სტრატეგიის აქტივობები გაწერილი იყოს წლების (ვადების) მიხედვით, შესრულების ინდიკატორების და პასუხისმგებელი პირების მითითებით, რაც შესაძლებელს გახდის ეფექტური მონიტორინგის წარმოებას და უნივერსიტეტის ბიუჯეტის რელევანტურად და ეფექტურად განაწილებას, რაც განაპირობებს აკადემიურ და სამეცნიერო პროცესების მდგრადობას და რისკების აცილებას.

შეფასება:

☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

აკადემიური, მათ შორის აფილირებული პერსონალის, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდის, პერსონალის კვალიფიკაციისა და პროფესიონალიზმის ამაღლებისა და შემოქმედებითი ინიციატივების მოტივირების მიზნით, უნივერსიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებას და შედეგებზე დაყრდნობით, ახდენს შემდგომი ღონისძიებების განხორციელებას. აღნიშნული საკითხი რეგულირებულია უნივერსიტეტის „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესით“.

პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობითა და პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტოვობებით სავალდებულოა ყოველწლიურად მინიმუმ 50 ქულის დაგროვება, ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოველწლიურად მინიმუმ 40 ქულის დაგროვება, ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე ყოველწლიურად მინიმუმ 30 ქულის დაგროვება, ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე მინიმუმ 15 ქულის დაგროვება.

ქულების განაწილება აქტივობის მიხედვით დეტალაურადაა გაწერილი „მარეგულირებელ დოკუმენტში „პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი;

• აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის განვითარების სამსახურის წარმომადგენლებთან, ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები.
რეკომენდაციები: --
რჩევები: --
შეფასება: ☒ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი
○ უსდ-ს საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ○ დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ევროპის უნივერსიტეტის მფლობელობაშია ორ მისამართზე არსებული ფართი: 1. ქ. თბილისი, გამზირი დავით გურამიშვილი, N76, ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 2200.00 კვ.მ. (ნაკვეთის წინა ნომერი 01.12.01.004088) შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი 2552.05 კვ.მ.(I სართული-513.32კვ.მ. II სართული-509.97, III სართული-503.12 კვ.მ. IV სართული-512.44კვ.მ. V სართული-513.20 კვ.მ.) და N2 (ამონაწერში საჯარო რეესტრიდან არ არის მითითებული ფართი); 2. ქ. თბილისი, ქუჩა სარაჯიშვილი, N17, ნაკვეთის დაზუსტებული ფართობი 2588.00 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართი 4487.23 კვ.მ. (ნახევრადსარდაფი ფართით 636.69 კვ.მ., I სართული-637.38კვ.მ. II სართული-636.82 კვ.მ, III სართული-640.08 კვ.მ. IV სართული-636.21 კვ.მ. , V სართული-632.78 კვ.მ. და სხვენი ფართით 667.27კვ.მ). აღნიშნულ მისამართზე მიმდინარეობს სარემონტო სამუსაოები (მე-5 და მე-6 სართულის დაშენება), რაც არ უშლის ხელს შენობის დანარჩენ ფართში მიმდინარე სასწავლო პროცესს. დაწესებულებას აქვს აღნიშნული ფართის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და შენობის აზომვითი ნახაზები. თუმცა, პირველ მისამართზე (გამზირი დავით გურამიშვილი, N76) სასწავლო და დამხმარე ფართები გამიჯნული არ არის, ხოლო მეორე მისამართზე (ქუჩა სარაჯიშვილი, N17) ფართები ნაწილობრივაა გამიჯნული. მაგალითად არ არის მითითებული

ნახევარსარდაფის -623.84კვ.მ-დან რა ნაწილი ემსახურება სასწავლო მიზნებს და ფართის რა ნაწილია დამხმარე და ა.შ.

ორივე მისამართზე არსებული ფართი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად. დაწესებულებას აქვს მე-7 სტანდარტით გათვალისწინებული სავალდებულო ფართები: ფოიე, სარეკრეაციო სივრცეები, თეორიული სწავლებისთვის აუდიტორიები (მათი ნაწილი აღჭურვილია კომპიტერული ტექნიკით), სასწავლო პროცესის შესაბამისი ლაბორატორიები, სასწავლო კაბინეტები (პრაქტიკული მეცადინეობებისთვის, რომლებიც აღჭურვილია დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ინვენტარით, მასალებით, მარაგებით), სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, ბიბლიოთეკა, ფართი ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულებისათვის, სათავსოები.

ევროპის უნივერსიტეტის ორივე მისამართზე, არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: გამიჯნული სანიტარიული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება ცივი და ცხელი წყლით, მათში დაცულია სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების მიერ მიმდინარე წელს განხორციელებულია 24840.49 ლარის ღირებულების სანიტარულ-ჰიგიენური საქონლის შესყიდვა.

შენობები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებითა და ვენტილაციით. ყველა სასწავლო ოთახს აქვს როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა. შენობებში დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. მიმდინარე წელს დაწესებულების მიერ გაწეულია 89037.87 ლარის კომუნალური ხარჯი.

დაწესებულება ზრუნავს პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობაზე. შემუშავებულია ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების, სამედიცინო დახმარების აღმოჩენისა და წესრიგის დაცვის მექანიზმები (არსებობს შესაბამისი ინვენტარი). შეძენილია და დამონტაჟებულია 24750 ლარის ღირებულების ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და ავტომატური ქრობის ცეცხლმაქრი (BONI). სახელმწიფოსაქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ დაწესებულების ორივე მისამართზე ჩატარდა შენობა-ნაგებობების სახანძრო-ტექნიკური შემოწმება, რომლის საფუძველზეც გამოვლინდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების რიგი დარღვევებისა. დაწესებულებას დაევალათა მათი აღმოფხვრა, კერძოდ, სახანძრო-ტექნიკური დეტალური შემოწმების N1 და N3 მიწერილობების შესრულება (კორესპონდენცია MIA 0 19 00283282 04.02.2019წ.). თუმცა, დაწესებულებას ექსპერტთა ჯგუფისთვის არ მიუწოდებია სრულყოფილი ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ. წარმოდგენილია შპს ,,უსაფრთხოება და გარანტი"-ის სახანძრო ტექნიკური ტესტირების დასკვნა სახანძრო სიგნალიზაციის გამართული მდგომარეობის და მოქმედ სახანძრო უსაფრთხოების ნორმებსა და წესებთან შესაბამისობის შესახებ.

თვალსაჩინო ადგილას, შენობების ყველა სართულზე განთავსებულია კომპეტენტური ორგანოს მიერ დამტკიცებული საევაკუაციო გეგმები. დაწესებულებას ორივე მისამართზე აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტები ბუნებრივი და ხელოვნური განათებით. შენობების მთელ პერიმეტრზე წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ დაცვის თანამშრომლები, რომლებიც დაწესებულების მატერიალური ფასეულობების დაცვასაც უზრუნველყოფენ. შენობების მთლიან შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია უსაფრთხოების კამერები. ვიდეოჩანაწერები ინახება ერთი თვის განმავლობაში. 2016-2017 წლებში შეძენილია 14698.50 ლარის ღირებულების უსაფრთხოების კამერები და ჩამწერი მოწყობილობა. 2019 წელს გაფორმებულია ხელშეკრულება 16 000 აშშ დოლარის ღირებულების ქსელური კამერების და სხვა მაკომპლექტებელი საქონლის მიწოდებასა და დამონტაჟებაზე.

ვიზიტის მსვლელობისას დაფიქსირდა, რომ ევროპის უნივერსიტეტის პირველ მისამართზე (დავით გურამიშვილის გამზირი, N76) სრულად არ არის უზრუნველყოფილი სპეციალური საჭიროებების მქონე პირების თავისუფლად გადაადგილება. თუმცა, მიმდინარეობს შენობის გარე ფასადზე ლიფტის სამონტაჟო სამუშაოები. მეორე მისამართზე ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს. ლიფტი დამონტაჟებულია შემობაში. ორივე მისამართზე სსმ პირებისათვის არსებობს შესაბამისად მოწყობილი სანიტარული კვანძები. მათთვის შეუფერხებლად არის შესაძლებელი ორივე შემობასთან ავტომანქანით მიღწევა.

ევროპის უნივერსიტეტის ორივე მისამართზე უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტური წარმართვა. დაწესებულების მფლობელობაში არსებული მოძრავი და უძრავი ქონება შეესაბამება პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებსა და არსებულ სტუდენტთა რაოდენობას. ვიზუალური დათვალიერების შედეგად და დაწესებულების მიერ შემუშავებული, კონტინგენტის ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აუდიტორული დატვირთვის გამოთვლის საფუძველზე, სასწავლო კორპუსებში შესაძლებელია განსაზღვრულზე მეტი რაოდენობის სტუდენტისათვის ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველყოფა.

ამჟამად, დაწესებულებაში სამი სსსმ სტუდენტი სწავლობს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზები;
- მიღება-ჩაბარების აქტი ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრხოების სისტემის შეძენის შესახებ (26.01.2018)
- ინვენტარიზაციის აქტების დანართები მოძრავი ქონების განთავსების და რაოდენობის შესახებ;
- კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- საევაკუაციო გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- წესრიგის უზრუნველყოფასა და სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელ პირთან დადებული შრომითი ხელშეკრულებები;
- პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები.
- უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებთან ინტერვიუის შედეგები.

რეკომენდაციები:

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, რეკომენდებულია:

- მისამართზე დავით გურამიშვილის გამზირი N76, სასწავლო და დამხმარე ფართების გამიჯნვა;
- რათა შესაძლებელი გახდეს მეტი სიზუსტით განისაზღვროს დამატებით რამდენი სტუდენტის მომსახურებას შეძლებს დაწესებულება;
- მისამართზე სარაჯიშვილის ქუჩა N17 საამშენებლო სამუშაოების დროულად დასრულება, რაც საშუალებას მისცემს დაწესებულებას, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოს ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესი.

რჩევები:

- მისამართზე სარაჯიშვილის ქუჩა N17 შიდა აზომვით ნახაზზე მითითებული ფართების შესაბამისად, სასწავლო და დამხმარე ფართების დაზუსტება;
- მისამართზე დავით გურამიშვილის გამზირი N76, დროულად დასრულდეს შენობის ფასადზე ლიფტის სამონტაჟო სამუშაოები, რაც ხელს შეუწყობს სსსმ პირთა შეუფერხებლად გადაადგილებას შენობის მთელ პერიმეტრზე.
- სრულად იქნეს გათვალისწინებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. საბიბლიოთეკო რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტს ორივე მისამართზე აქვს ბიბლიოთეკა, რომლებიც მოიცავს შემდეგ სივრცეებს: სამკითხველო დარბაზი (თითოეული დაახლოებით 25-30 ადამიანზე) აღჭურვილი კომპიუტერული და ასლგადამღები ტექნიკით; ბიბლიოთეკაში მომუშავე პერსონალის სამუშაო სივრცე. წიგნთსაცავი განთავსებული მხოლოდ სარაჯიშვილის ქუჩა N17 მისამართზე არსებულ ბიბლიოთეკაში. არც ერთ ბიბლიოთეკაში არ არის გამოყოფილი სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის. ვიზიტის მსვლელობისას დათვალიერებამ აჩვენა, რომ არსებული საბიბლიოთეკო ფართი არ იქნება საკმარისი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში. თუმცა, ინტერვიუირებისას გაირკვა, რომ დაწესებულება გეგმავს საბიბლიოთეკო სივრცის გაფართოებას.

ბიბლიოთეკებში განთავსებული კომპიუტერები ჩართულია ინტერნეტში. ასევე, უზრუნველყოფილია უკაბელო ინტერნეტით სარგებლობა.

დაწესებულებაში არსებობს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკის ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურის არსებული ფონდი მრავალფეროვანია, განახლებადია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და კვლევით საქმიანობის განხორციელებას. სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა ხელმისაწვდომია და საკმარისია დაწესებულების ბიბლიოთეკაში სტუდენტთა არსებული რაოდენობისთვის.

ბიბლიოთეკის პერსონალთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ მიმდინარეობს წიგნადი ფონდის დამუშავება საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობა. ბიბლიოთეკის მომსახურე პერსონალს საბიბლიოთეკო საქმეში გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია. ისინი კონსულტაციებს უწევენ სტუდენტებსა და პერსონალს საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზების გამოყენებასთან დაკავშირებით, ზრუნავენ საკუთარ პროფესიულ ზრდაზე, რაც გამოიხატება დაწესებულების მიერ ორგანიზებულ პროფესიულ

ტრენინგებში მონაწილეობაში. 2018 წელს ჩატარებული სტუდეტთა გამოკითხის შედეგების გათვალისწინებით, გაიზარდა ბიბლიოთეკების მუშაობის საათები.

არსებობს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი და ლიტერატურის ელექტრონული საძიებო სისტემა. შექმნილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების გამოყენებისა და ბიბლიოთეკის კატალოგში წიგნის მოძიების ინსტრუქციები. სტუდენტებისათვის შეთავაზებულია სილაბუსების შესაბამისი უცხოენოვანი ლიტერატურა. დაწესებულების ყველა ფაკულტეტის პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის, ხელმისაწვდომია სხვადასხვა ელექტრონული სამეცნიერო ბაზები და ჟურნალები სამეცნიერო მიმართულებების შესაბამისად. მათ შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ ,,ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის-elFL”-ის ელექტრონული რესურსები. ასევე, შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკათშორისი სერვისით, რისთვისაც მკითხველი წიგნის შეკვეთას ახორციელებს ელექტრონული ფოსტით, ბიბლიოთეკის საფოსტო მისამართზე.

ბიბლიოთეკის პერსონალის მიერ შემუშავებულია წიგნების ყოველდღიური ბრუნვის აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი.

ბიბლიოთეკის მართვის სისტემა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების ეფექტურ გამოყენებას.

2019 წლის პირველი კვარტლის მონიტორინგის ანგარიშში მითითებულია, რომ მიმდინარე წლის იანვარ-მარტის თვეებში ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით ისარგებლა 1519 მკითხველმა. წიგნის ბრუნვამ შეადგინა 1580 ერთეული.

პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, დაწესებულება ზრუნავს რესურსებისა და სერვისების განახლებასა და გაუმჯობესებაზე. მიმდინარე წელს მედიცინის საფაკულტეტო ბიბლიოთეკას შეემატა პროექტორი და პროექტორის დაფა. ასევე, წიგნად ფონდს შეემატა 79 ერთეული ბეჭდური წიგნი. მათ შორის: ბიზნესის მიმართულებაზე 53, სამართლის მიმართულებაზე 20, ხოლო სხვა მიმართულებებზე 6 ერთეული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გამოყოფილი ბიუჯეტის დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში. წარმოდგენილია მხოლოდ 2019 წლის საფინანსო გეგმა ფაკულტეტების მიხედვით და მხოლოდ 2020-2021 წლების დაწესებულების მთლიანი საპროგნოზო საფინანსო გეგმები (ფაკულტეტების მიხედვით არ არის ჩაშლილი). ირკვევა, რომ მიმდინარე, 2019 წელს დაწესებულების საბიბლიოთეკო ფონდის (წიგნები და ელექტრონული ბაზები პროგრამების მიხედით) შესავსებად სულ გათვალისწინებულია 63000 ლარი, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტზე 50000 ლარი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 5000 ლარი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტზე 5000 ლარი. 2020 წლისთვის აღნიშნული მიზნისთვის გათვალისწინებულია 70000 ლარი, 2021 წლისთვის კი 75000 ლარი.

წინა საანგარიშო, 2018 წელს დაწესებულების ფინანსური გეგმით გათვალისწინებული იყო 105000 ლარის ხარჯის გაწევა წიგნადი ფონდის შესავსებად, მათ შორის მედიცინის ფაკულტეტისთვის გამოყოფილი იყო 59792 ლარი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტისთვის 24889 ლარი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტისთვის 20319 ლარი. სულ 2018 წელს ბიბლიოთეკას შეემატა 1271 ერთეული სახელმძღვანელო, თუმცა, ვერ მოხერხდა ამ მიზნისთვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯის დადგენა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ვებგვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგი;

- ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდის შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, ინსტრუქციები;
- სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია დაწესებულებამ შეიმუშაოს საბიბლიოთეკო რესურსების უზრუნველყოფასა და განვითარებაზე გასაწევი ხარჯების საპროგმოზო გეგმა 2025 წლის ჩათვლით, რათა განისაზღვროს სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, მოსალოდნელი დინამიკა.

რჩევები:

- ბეჭდური წიგნების რაოდენობის გაზრდა სილაბუსების შესაბამისად, რათა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნეს მათი მნოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ელექტრონული რესურსების ახალ ბაზებთან წვდომის გაზრდა;
- ბიბლიოთეკის დროულად გაფართოება, რადგან კონტიგენტის ზრდის შემთხვევაში შეუფერხებლად მოხდეს პერსონალის და სტუდენტთა მომსახურება;
- წიგნადი ფონდის დამუშავების დროულად დასრულება.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3. საინფორმაციო რესურსი

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მისი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილია ვებგვერდის ფუნქციონირება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიები (კომპიუტერული ტექნიკა, პროგრამული უზრუნველყოფა, ინტერნეტი) მუდმივად და სტაბილურად ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისათვის. უნივერსიტეტში არის ოთხი კომპიუტერული კლასი. ბიბლიოთეკები აღჭურვული კომპიუტერული ტექნიკით (24 ერთეული). დაწესებულების მფლობელობაშია სულ 244 ერთეული პერსონალური კომპიუტერი, 11 ერთეული ლეპტოპი, 60 ერთეული პროექტორი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვა მიმდინარეობს ადეკვატურად და ეფექტურად, უზრუნველყოფილია მონაცემთა (მათ შორის, პერსონალურ მონაცემთა) დაცვა და ხორციელდება საინფორმაციო სისტემის ეფექტიანობის შეფასება.

დაწესებულებაში დანერგილია სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემა, თუმცა არ არსებობს აღნიშნული სისტემის შესატყვისი ინგლისურენონანი ვერსია უცხოენოვანი სტუდენტების სრულფასოვანი მომსახურებისათვის. ისინი მათთვის საჭირო ინფორმაციის მიღებას ახერხებენ ,,Google Translate" ავტომატური თარგმნის ფუნქციის გამოყენებით. დაწესებულებაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა eFLOW, რომელშიც ჩართულია ადმინისტრაციის 80 თანამშრომელი. მიმდინარეობს პერსონალის მართვის სისტემის შემუშავება/ტესტირება. დანერგილია პლაგიატის გამოვლენის სისტემა, საბიბლიოტეკო ფონდების მართვის სიტემა ,,openbiblio". დაწესებულებაში არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.

ევროპის უნივერსიტეტის ოფიციალური ვებგერდი https://eu.edu.ge ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე. ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად.

ვებგვერდზე განთავსებულია უსდ-ის მისია, სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, პროგრამები, პროგრამის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცედურები, მარეგულირებელი დოკუმენტები, სტრატეგიული განვითარების გეგმები, ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, ვებგვერდზე ასევე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციული პერსონალის, აკადემიური/მოწვეული პერსონალის შესახებ. ვებგვერდზე არ არის განთავსებული დაწესებულების ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- ადმინისტრირების, პასუხიმგებლობის და ანგარიშგების წესი;
- ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა;
- დანერგილი ელექტრონული სერვისები;
- უსდ-ის მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- დომენის და ჰოსტინგის სერთიფიკატები;
- ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხიმგებელი პირის სამუშაო აღწერილობა;
- ვიზუალური დათვალიერების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

რეკომენდაციები:

- ქართულენოვანი, სტუდენტთა მოსახურების ელექტრონული სისტემის შესატყვისი ინგლისურენოვანი ვერსიის შექმნა, უცხოენოვანი სტუდენტებისათვის მკაფიო, ზუსტი, სრულყოფილი ,განახლებული ინფორმაციის ადვილად ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:

- სასურველია დაწესებულებამ ვებგვერდზე განათავსოს: ზოგადი სტატისტიკური მაჩვენებლები, ინფორმაცია სტუდენტებისთვის დასაქმების შესაძლებლობის შესახებ და სხვ.

შეფასება:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.4. ფინანსური რესურსი

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ევროპის უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2019, 2020 და 2021 წლების ფინანსური გეგმებით დასტურდება, რომ დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმეში გაწერილი აქტივობების შესასრულებლად გათვალისწინებული აქვს ფინანსური რესურსი. მათში ასახულია როგორც დაგეგმილი შემოსავლები, ასევე საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გასაწევი ხარჯები. კერძოდ, 2019 წელს დაწესესებულებას დაგეგმილი აქვს ჯამში 10 883519 ლარის შემოსავლის მიღება. მათ შორის მედიცინის ფაკულტეტის ძირითადი საქმიანობიდან (სტუდენტების მიერ გადახდილი სწავლის საფასურის/სახელმწიფო გრანტები და სხვ.) 956400 ლარი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციუალურ მეცნიერებათა ფაკულტეტრიდან 642700 ლარი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტიდან 581819 ლარი, რაც წინა საანგარიშო წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით ჯამში 4 161856 ლარით ნაკლებია. სხვაობა გამოწვეულია მისაღებ კონტიგენტზე შეზღუდვის დაწესებით. 2019 წელს დაწესებულებას, ასევე, დაგეგმილი აქვს 54000 ათასი ლარის შემოსავლები ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებიდან.

ევროპის უნივერსიტეტი, მისაღებ კონტიგენტზე შეზღუდვის მოხსნისა და სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ზრდის შემთხვევაში, 2020-2021 წლებში, გეგმავს ძირითადი საქმოანობიდან გაზრდილ შემოსავლებს (შესაბამისად, 14 9888519 ლარი და 19 188520 ლარი) ასევე, ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტებიდან (შესაბამისად 60 000 ლარი და 120000 ლარი).

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური გეგმებზე დაყრდნობით, დაწესებულება 2019 წელს ელის 422740 ლარის მოგებას (სხავაობა დაგემილ შემოსავალსა და ხარჯს შორის). ასევე მნიშვნელოვნადაა საპროგნოზო მოგების მაჩვენებელი გაზრდილი 2020-2021 წლებში. თუმცა, მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, რთულია იმის პროგნოზირება, რამდენად ეკონომიკურად მიღწევადია ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა. არც წარმოდგენილ საფინანსო გეგმებში და არც დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბიზნესუწყვეტობის გეგმაში არ არის ასახული დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები რისკების დადგომის შემთხვევაში. მოთხოვნის მიუხედავად დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფს ვერ წარუდგინა ვერც წინა 5 საანგარიშგებო წლის საფინანსო გეგმები (მოწოდებული იქნა მხოლოდ 2018 წლის საფინანსო გეგმა ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში) და შესაბამისად, ვერც მისი შესრულების ანგარიშები.

დაწესებულებას შემუშავებული აქვს დოკუმენტი ბიუჯეტირების პოლიტიკის და პროცედურების შესახებ, რომელშიც გაწერილია ბიუჯეტირების მიზანი, ბიუჯეტირების პროცესი, ბიუჯეტის სტრუქტურა, მისი განმახორციელებელი და ჩართული მხარეები, ბიუჯეტის ფორმირების ძირითადი პრინციპები, ბიუჯეტირების ვადები, ბიუჯეტის შემუშავების პროცესი, ბიუჯეტის მონიტორინგი და სხვა. დოკუმენტის მე-10 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტით განსაზღვრულია ფინანსური სამსახურის მიერ ,,გასული საფინანსო წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მომზადება". ეს ინფორმაცია, დაეხმარებოდა ჯგუფს, შეეფასებინა დაწესებულების ფინანსური მდგრადობა დინამიკაში.

ასევე, საფინანსო სამსხურის მიერ ვერ იქნა მოწოდებული ვერც 2025 წლამდე საპროგნოზო ბიუჯეტი ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში. წარმოდგენილი იქნა მხოლოდ 2020-2021წლების საპროგნოზო ბიუჯეტი ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილის გარეშე. ინტერვიუს დროს დაფიქსირდა, რომ მოთხოვნილი ფინანსური დოკუმენტების არარსებობა გამოწვეულია ფინანსური სამსახურის პერსონალის ცვლილებით, რის გამოც სამსახურის ახალმა ხელმძღვანელმა ვერ მოახერხა მათი სრულყოფილად შედგენა.

დაწესებულებას არ აქვს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ ჩატარებული წინა სანგარიშგებო წლების ფინანსური აუდიტის დასკვნები. განხორციელებული ვიზიტისას გამოთხოვილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გაირკვა, რომ დაწესებულებას ერთ-ერთ აუდიტორულ ფირმასთან 2018 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული აქვს აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულება NF-05/2018, რომლის საგანს წარმოადგენს 2018 საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. დოკუმენტში, შემოწმების ვადად მითითებულია 2019 წლის 01 აპრილი. ასევე, 2018 წლის 24 დეკემბერს გაფორმებულია აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულება NF-05/2018, რომლის საგანს წარმოადგენს 2016-2017 საანგარიშგებო წლების საგადასახადო აუდიტი. შემოწმების ვადად მითითებულია 2019 წლის 31 მარტი. თუმცა, 2019 წლის 25 მარტს დაიდო შეთანხმებები და ზემოაღნიშნული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული შემოწმების ვადებად განსაზღვრა ,,არაუგვიანეს 2019 წლის 31 აგვისტო".

დაწესებულების 2019 წლის ბიუჯეტით დაგეგმილი ფინანსური რესურსით შესაძლებელია სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტური განხორციელება, სამეცნიერო კვლევების ხელშესაწყობად არსებობს შესაბამისი და საკმარისი ფინანსური რესურსები, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის თანაბარ პირობებში, რაც დადასტურდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუირებისას. ამ მიზნისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ჯამში 299700 ლარი (მედიცინის ფაკულტეტი 180000 ლარი, სამართლის, ჰუმანიტარულ და სოციუალურ მეცნიერებათა ფაკულტეტრიდან 60000 ლარი, ბიზნესის და ტექნოლოგიების ფაკულტეტიდან 59700 ლარი). ბიუჯეტით ასევე გამოყოფილია ადეკვატური ფინანსური სახსრები სტუდენტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობისათვის, ინტერნაციონალიზაციის/საერთაშორისო ურთიერთობების გასაღრმავებლად, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ასამაღლებლად, სტუდენტთა საუნივერსიტეტო სტიპენდიებისათვის, სტუდენტთა და კურსდამტავრებულთა კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებებისთვის და სხვა.

ფინანსური ინფორმაციის უტყუარობასა და სანდოობას ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის/მომსახურების შეძენის შესაბამისი ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები და სხვ.

საფინანსო სამსახურში ამჟამად მუშაობს ორი თანამშრომელი. მათთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები. ზემოაღნიშნული გამოვლენილი ხარვეზების მიუხედავად, ისინი პროფესიონალურად ახორციელებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. მათ შორის, მონაწილეობენ დაწესებულების ინვენტარიზაციის პროცესში. დაწესებულების მოძრავ

მატერიალურ ფასეულობებს (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვ.) მინიჭებული აქვს შტრიხკოდები. თუმცა, დაწესებულებაში არ არის ბრძანებით დანიშნული მატერიალურად პასუხისმგებელი პირი/პირები. შესაბამისად, მატერიალური ფასეულობები (კომპიუტერული ტექნიკა, საოფისე ავეჯი და სხვა) მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე არავის არ აქვს გადაბარებული (ინტერვიუს ჩატარებისას აღნიშნული დაადასტურეს ფინანსური სამსახურის პერსონალმა და მატერიალური სამსახურის თანამშრომელმა).
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • ევროპის უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი; • ევროპის უნივერსიტეტის 2020-2021 წლების საპროგნოზო ბიუჯეტი; • წინა საანგარიშო პერიოდის 2018 წლის ბიუჯეტი • შრომითი ხელშეკრულებები; • უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკის და პროცედურების დოკუმენტი; • ინვენტარიზაციის ოქმი და თანდართული ფაილები; • ხელშეკრულებები აუდიტორული მომსახურების შესახებ. • ინტერვიუები ფინანსური სამსახირის თანამშრომლებთან.
რეკომენდაციები: • დაწესებულებამ ბიუჯეტის დაგეგმვისას გაითვალისწინოს შესაძლო რისკების დადგომისას, ბიუჯეტის შესავსებად საჭირო დივერსიფიცირებული წყაროები, • დაწესებულებამ უზრუნველყოს უფლებამოსილი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინა საანგარიშგებო წლების აუდიტის ჩატარება. • 2020-2025 წლების საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა ძირითადი სტრუქტურული ერთეულების ჭრილში.
რჩევები: • სასურველია დაწესებულებამ/საფინანსო სამსახურმა, საფინანსო საქმიანობის განხორციელების პროცესში იხელმძღვანელოს დოკუმენტით ,,უნივერსიტეტის ბიუჯეტირების პოლიტიკა და პროცედურები“ ; • სასურველია, დაინიშნონ მატერიალურ ფასეულობების მოვლა/შენახვაზე პასუხიმგებელი პირები.
შეფასება: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

დანართი N1: უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი

№	პროგრამის დასახელება	სწავლების ენა	მისანიჭებელი კვალიფიკაცია (კვალიფიკაციის კოდით)	ECTS	პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/ აკრედიტებული)	შესაბამისი გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი
საბაკალავრო						
1	ბიზნესის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	240	აკრედიტებული	20 ივნისი 2019 N133
2	ინგლისური ფილოლოგია	ქართული	ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი	240		
3	ინფორმატიკა	ქართული	ინფორმატიკის ბაკალავრი	240	აკრედიტებული	20 ივნისი 2019 N132
4	კომპიუტერული სისტემები და ქსელები	ქართული	ინჟინერიის ბაკალავრი ინფორმატიკაში	240		
5	საერთაშორისო სამართალი	ქართული	საერთაშორისო სამართლის ბაკალავრი	240		
6	საერთაშორისო ურთიერთობები	ქართული	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი	240		
7	სამართალი	ქართული	სამართლის ბაკალავრი	240		
8	ტურიზმის ადმინისტრირება	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბავაკალავრი ტურიზმში	240		
9	ფინანსები და საბანკო საქმე	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში	240		
10	ფსიქოლოგია	ქართული	ფსიქოლოგიის ბაკალავრი	240		
სამაგისტრო						
11	მენეჯმენტი	ქართული	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში	120		
12	სამართალი	ქართული	სამართლის მაგისტრი	120	აკრედიტებული	11 ივნისი, 2019 N124
ერთსაფეხურიანი						
13	დიპლომირებული მედიკოსი	ინგლისური	დიპლომირებული მედიკოსი (Medical Doctor, MD)	360		
14	სტომატოლოგია	ქართული ინგლისური	დიპლომირებული სტომატოლოგის	300		

			აკადემიური ხარისხი			
მასწავლებლის მომზადების პროგრამა						
15	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული		60	აკრედიტებული	10 ივლისი, 2017 N40

შენიშვნა: ინფორმაცია აღებულია ვებგვერდებიდან www.eu.edu.ge და www.eqe.ge